

171  
1967



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

ბრძანებათა და ინსტრუქციათა

# ЗАКОНОДАТЕЛЬСТВО

## СБОРНИК

### ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

9-10

1967-1968-1969-1970

Контрольный экземпляр

## ପିଲାଗାସିରିଆ

1. ଫାଲଦିନରେ ହାତିଲାଟି ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
2. ପରିବାରରେ ହାତିଲାଟି ପାଇଁ ପାଇଁ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
3. ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
4. ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
5. ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
6. ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
7. ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
8. ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ
9. ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ	ପିଲାଗାସିରିଆ

**ରୂପାଳୀକରଣ ଉପାଧି ପାଇଁ**  
**କୁମାରୀ ପାତ୍ନୀ ଏ. ଏଲାଇ**

### ପାଇଁ 10 ମାତ୍ର.

କ୍ଷେତ୍ରମାତ୍ରରେ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ 18/XI-67 ଫିଲେ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ  
 କ୍ଷେତ୍ରମାତ୍ରରେ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ 60X9,5. କ୍ଷେତ୍ରମାତ୍ରରେ ପାଇଁ  
 60X84. କ୍ଷେତ୍ରମାତ୍ରରେ ପାଇଁ ପାଇଁ ପାଇଁ 5.

გაცემი სახატლო წლის შედეგებისა და 1967—1968  
 სახატლო წლის ძირითადი აზოცავების შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1967 წლის  
 21 აგვისტოს დადგენილება

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნი-  
 შნავს, რომ უკანასკნელ წლებში განათლების დარგში სკკპ XXIII  
 ყრილობის დირექტორებისა და სკოლის მუშაობის შემდგომი გაუ-  
 მჯობესების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კაც-  
 შირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილე-  
 ბის საფუძველზე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებმა  
 მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს.

საგრძნობლად განმტკიცდა სკოლების ნივთიერი და სასწავლო  
 ბაზა. ძირითადად გატარდა რვაწლიანი განათლება, მხადდება პირო-  
 ბები უახლოეს წლებში საყოველთაო განათლების განსახორციელე-  
 ბლად საშუალო სკოლის ფარგლებში. რესპუბლიკის ზოგადსაგან-  
 მანათლებლო სკოლებში მნიშვნელოვან იზრდება მოსწავლეთა  
 რიცხვი, ამ სასწავლო წლიდან ამ სკოლებში მილიონამდე ბავშვი  
 და მოზარდი ისწავლის; ყოველწლიურად იზრდება მასწავლებელთა  
 რაოდენობა; ამჟამად მარტო განათლების სამინისტროს უწყების  
 სკოლებს ემსახურება 75 ათასი პედაგოგი.

სკოლების ერთ ნაწილში თანდათან უმჯობესდება სწავლა-  
 იდზრდის საქმე, უფრო მტკიცედ ისწავლება ცალკე სასწავლო დის-  
 ციპლინები, რასაც ადასტურებს ისიც, რომ ამ ბოლო წლებში  
 კურსდამთავრებულინი უკეთ აბარებენ მისალებ გამოცდებს უმაღლეს  
 სასწავლებლებში. მრავალი სკოლა უნარიანად იყენებს თვალსაჩი-  
 ნოებას, ლაბორატორიული და სხვა სახის პრატიკულ მუშაობას,  
 ნერგავს ახალ ტექნიკურ საშუალებებს სწავლებაში. ატარებს ზო-  
 მებს, რათა აღმოფხვრას ფორმალიზმი დასტუროს ლიბერალიზმი  
 მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში და მათ დამცაველი საჭირო



პასუხისმგებლობით ეკიდება იდეურ აღზრდას, მოსწავლეებში მდგრადი განვითარების უფრო და უძლებელი გადამცველებას; უკრადების უფრო აღზრდა უნდობით მეოთვალყურეობასა და ზედამხედველობას მოკლებული ბავშვები. უფრო მყარსა და მტკიცე ნიადაგზე დგება ესთეტიკური აღზრდა. ბევრგან ეფექტური ნაბიჯებია გადაღმული, რათა სკოლას ეზო-გარემო, შენობა, დერეფნები, ოთახები, გაცვეთილები და სკოლისგარეშე საქმიანობა ჯეროვნად უბასუხებდეს ესთეტიკური აღზრდის ამოცანებს. ზოვიერთ სკოლაში ახლად აშენდა ან კიდევ უფრო კეთილმოწყობილი გახდა ფიზიულტურული დარბაზები, მოედნები; სასკოლო-ფიზკულტურული ლონისძიებანი უფრო მასობრივი ხასიათისა ხდება.

ამ მიღწევების მიუხედავად, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა ჯეროვნად ვერ უბასუხებს იმ მოთხოვნებს, რასაც მას სწრაფი ტექნიკური პროგრესი და საბჭოთა ხალხის მზარდი კულტურული დონე უყენებს.

ნაკლოვანებათაგან მთავარია შემდეგი.

რესპუბლიკის ზოგი რაიონი ვერ ასრულებს სკოლებში მოსწავლეთა ჩაბმის გეგმას. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში გასულ სასწავლო წელს გეგმა შესრულდა 327 მოსწავლის დანაკლისით, ასალქშლაქის რაიონში შესაბამისად—258 მოსწავლის დანაკლისით, ახალციხის რაიონში—229 მოსწავლის. ღმანისის რაიონში—473, მახარაძის რაიონში—266, წალკის რაიონში—216, ჩოხატაურის რაიონში—142 მოსწავლის დანაკლისით. ამ რაიონების სკოლების I-X კლასებში ჩაბმული უნდა ყოფილიყო 105039 მოსწავლე, ფაქტიურად ჩაბეს 102976 მოსწავლე, ანუ 2063 მოსწავლით ნაკლები, რაც შეაღვენს გეგმის თითქმის 2 პროცენტს.

განსაკუთრებით დამაუკირებელია ის ფაქტი, რომ ზოგ რაიონში, ნაცვლად ზრდისა, მცირდება IX კლასების კონტინგენტი. ამბოლაურის რაიონის სკოლებში 1965-1966 სასწავლო წელს IX კლასებში ჩაირიცხა რეაწლიანი სკოლის კურსდამთავრებულთა 75,5%, ხოლო 1966-1967 სასწავლო წელს—70,1%; ქ. ქუთაისის სკოლებში, შესაბამისად 94,4% და 90,7%; ვანის რაიონში—73,9% და 75,9%; გარდაბნის რაიონში—76,4% და 72%; ყაზბეგის რაიონში—67% და 70,5%; ცაგერის რაიონში—67,4% და 62,3%, ანის რაიონში—74,9% და 64,6%; ხობის რაიონში—76,9% და 70,5%; ცავერის რაიონში—76,0% და 67,9%. რესპუბლიკის სა-

მუალო სკოლებში გასულ სასწავლო წელს IX კლასებში მიიღეს 4,6%-ით ნაკლები მოსწავლე.

ასეთი ჩამორჩენა იმის შედევია, რომ სკოლები ერთობლივ ღონისძიებებს არ ატარებენ IX კლასებში რვაკლასდამთავრებულთა მასობრივიდ მოსაზიდად, ხოლო გარანტების ადგილობრივი ორგანიზები არადამაქმაყოვნილებლად ხელმძღვანელობენ ამ საქმეს. საღირექტივო ორგანოების დადგენილება ითვალისწინებს, რომ 1970 წელს ძირითადად შემოვილოთ საშუალო გარათლება მოხარდი. თაობისათვის. ეს კი მოახხოვს გადამჭრელი ზომების განხორციელებას.

მეცნიერებათა საფუძვლების სწავლების დარგში ძირითადი ნაკლი იმით გამოიხატება, რომ რესპუბლიკის სკოლების უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ჯეროვნად მომაადებას დაწესებული პროგრამების ფარგლებში.

დაწყებითი კლასების მოსწავლეთა საჭმაოდ. დიდი ნაწილი კარგად ვერ ეცვლება დედაენას, ვერ ახერხებს სწრაფ, გამართულ, გამომეტყველ კითხვის, სუფთად, ლამაზად და ახრიანად წერას, ვერ ამჟღავნებს წიგნისადმი ცხოველ ინტერესსა და სიყვარულს. ამასთანავე ამ კლასების მოსწავლეზი, განსაკუთრებით სოფულად, ძალშე სუსტად ეცვლებან რცსელ ერას, ჩათვლით კითხულობენ ტექსტებს, ვერ თარგმნაა მათ, უჭირთ პასუხის გაცემა მარტივ კითხვებშეც კი. ბევრმა მოსწავლემ ოთხი კლასის დამაავრებისას არ იცის მთელ რიცხვებზე თვლა-არგარიში და სპ. განსაკუთრებით დაბალია დამოკიდებელი დაწესებითი სკოლების მოსწავლეთა მომზადება, რაც იმითაც არის გამოყველი, რომ ამ სკოლებს სათანადო დაპარებასა და ხელმძღვანელობას ვერ უწევენ მიმაგრებული რვაწლიანი და საშუალო სკოლები.

ასპინძის, აღიგენის, სამტკრედის, გეგეშეკორის, წყალტუბოს, განისა და სპარა რაიონების სკოლების საინსპექტორო გამოკლევის შედეგები და 1966-1967 სასწავლო წელს საპალხო გარათლების ხელმძღვანელი ორგანოების მიერ ჩატარებული საკონტროლო წერები ლიტერატურაში ქ. ქ. თბილისში, ქვეთასში, ზეგდიდში, მანარაძეში, თელავში, ცხაქაიში და მაიაკოვსკის, ლაგოდევის და ზოგიერთ სპარა რაიონში აღასტურებენ, რომ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მოსწავლეზი საქმაო მომზადებას არ იჩინე . მრავალი სკოლის V-VIII კლასებში ბავშვებმა სუსტად იციან დედაენა



და ლიტერატურა, დაბალია ზეპირი მეტყველების, წერისებულების, კითხობის დონე, სუსტია ინტერესი მხატვრული ლიტერატურისადმი. ბევრი სკოლის IX-X კლასებში ნაკლებად იგრძნობა ზრუნვა მხატვრული ნაწარმოების დამოუკიდებლად შესწავლისადმი, მოსწავლეებში გამომუშავებული არ არის სწორი წერის ჩვევები, ლიტერატურული ნაწარმოების დედაბირსა და დანიშნულებაში გარკვევის უნარი. არაიშვიათად ამ კლასების მოსწავლეებმა პროგრამით გათვალისწინებული ცნობილი ლიტერატურული ძეგლების შინაარსიც კი არ იციან ხეირიანად. საკონტროლო წერის შედეგად ქ. ჭათაიძის საშუალო სკოლების გამოსაშვება კლასების 295 მოსწავლიდან არა-დამატებული ნიშანი მიიღო 180 მოსწავლემ, მახარაძის რაიონის სკოლების 125 მოსწავლიდან—50-მა, ზუგდიდის რაიონში—82-დან 52-მა, თელავის რაიონში 146-დან—42-მა, ცხადაის რაიონში 146-დან—43; ყველა ამ მოსწავლეს სკოლებში საშუალო და მაღალი შეფასება ჰქონდა მიღებული. ეს ნაკლოვანებანი, ცხადია, პირველ რიგში დედაენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა სუსტი მცმაობის შედეგია, მაგრამ საქმეზე უარყოფით გავლენას ახდენს ისიც, რომ მოწესრიგებული არაა სასკოლო ბიბლიოთეკების მუშაობა, მასწავლებელთა კოლექტივი არ იცის სკოლაში ერთიან ენობრივ რეჟიმს, სათანადოდ ვერ იყენებენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მეშაობის მრავალფეროვან ფორმებს.

იმ ორისძიებების საფუძველზე, რაც უკანასკნელი წლების განმავლობაში ტარდება რესპუბლიკის არატუსულ სკოლებში, ბევრგან და, მათ შორის სოფლადაც, საგრძნობი წინსვლაა ოქტომბრის რევოლუციის ენის, არარესი ახალგაზრდობისათვის დედაენის შემდეგ ასე მახლობელი—რესული ენის სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით. და მაიც არა თუ სოფლის, არამედ ზოგი ქალაქის ბევრ სკოლაშიც ამ მარივ არსებითი გარდატეხა არაა მიღწეული. სკოლების საცმად დიდი ნაწილის ვერც დაწყებითი და ვერც უფროსი კლასების მასწავლებლები ვერ ახერხებენ პროგრამული მასალის მინიმუმის გავლას. ზოგიერთ სკოლაში, თვით V-VI კლასებშიც კი, მოსწავლენი მარტივ ტექსტებსაც კი ჩათვლით, მახვილისა და ინტრაციის გარეშე კითხულობენ, ხოლო საშუალო სკოლის ბევრ კურსდამთავრებულს არ შეუძლია ყოველდღიურ ჩვეულებრივ საუბარში ჩაებას, ორი-სამიოდე ფრაზა რუსულ ენაზე წარმოთვას. სკოლები უზრუნველყოფილი არ არიან რუსული ენის კვალიფიციურ მასწავლებელთა კადრებით და ამის გამო ვერ-იყე-



ნებენ რუსული ენის შესწავლისათვის არსებულ ხელსაყრელ პირადობების—კულტურულ გარემოცვას—გაზეთს, კინოს, რადიოს, ტელე-ხედვას და სხვ.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის უმრავლესობა უცხო ენებს სუსტად ფლობს. მათ აქტიურად შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ ძალიან მცირე მარაგი სიტყვებისა და ისიც კითხვების დასმისას. თუმცა ბევრ მათგანს გრამატიკული წესების ზეპირი ცოდნა აქვს, მაგრამ იგი ფორმალურია, ბავშვებს უჭირთ თუნდაც მარტივი ფრაზის შედგენა უცხო ენაზე. უკანასკნელ წლებში, განსაკუთრებით ქალაქის მოსახლეობაში, ფესტს იყიდებს ისეთი გაუმართლებელი განწყობილება, როცა მასობრივად მოითხოვენ ნაცვლად ფრანგული და გერმანული ენებისა, ისწავლებოდეს მსოლოდ ინგლისური ენა. არ ითვალისწინებენ რა იმას, რომ კულტურულ-პოლიტიკური თვალსაზრასით ქვეყნისათვის აუცილებელია ახალგაზრდობის გარკვევულმა ნაწილმა დიდი ტრადიციების მქონე ფრანგული და გერმანული ენებიც იცოდეს. ამ მამართულებით ყველა სკოლის დირექტორი როდი აგებს სათანადო მეშობას.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სკოლა დაწინაურდა, მათემატიკის სწავლების დონე აქა-იქ დაქვეუთებას განიცდის და ეს იმ დროს, როცა მათემატიკური დისკიპლინების საფუძვლიანად დაუფლებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენი ახალგაზრდობის წარმატებით მომზადება ცხოვრებისათვის. ზოგან სავსებით არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული არითმეტიკის ელემენტარული კურსის სწავლება, გამეცვებულია წესების ზეპირობა, ბავშვები ვერ ახერხებენ დამოუკიდებლად ამოხსნან საშუალოზე დაბალი სიძნელის ამოცანები. ზოგიერთი მასწავლებელი იმდენად ამირტივებს პროგრამას, რომ მათემატიკის სასკოლო კურსის გაუბრალოებამდე მიდის—ერთობ ხშირად საკონტროლო. სამუშაოდ არჩევენ ძალზე მარტივ ამოცანებსა და მაგალითებს და ამით ხელოვნურად ზრდიან კლასის წარმატებას. ისეთი შემთხვევებიც არაა იშვიათი, როცა მასწავლებელი თვითონ უწყობს ხელს „შპარგალების“ გამოყენებას და ძირშივე ჰქვეთს მოსწავლეთა მისწრაფებას საფუძვლიანი დამოუკიდებელი მუშაობისადმი. ლაგოდების რაიონის ვარდისუბრივის, წალეის რუსული, სამტრედიის რაიონის კორმალლის, მაიკონეს რაიონის წითელხევის, ზუგდიდის რაიონის ქორცხელის, მახარაძის პირველი და სხვა საშუალო სკოლების დამთავრებელი



კლასების მოსწავლეთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ, მათ „შემოსილებული უნივერსიტეტის საკუთრო წერაში არადამაკავშირო-ფილებელი შეფასებანი მიიღეს. მედლის კანდიდატებისათვის მოწყობილ მათემატიკის წერაში 146 მოსწავლიდან შეფასება „3“ მიიღო 51, ხოლო „2“—18-მა მოსწავლემ; მათ კერძო მოახერხეს შაჩქე-ნებლიანი და ლოგარითმული განტოლების ამონსნა, მიცემული ფესვებით კვადრატული განტოლების შედგენა, უტოლობის ამონსნა, ჯამისა და სხვაობის ნამრავლად გარდაქმნა, ტრიგონომეტრიული იგივეობის დამტკაცება.

ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის სწავლებისას ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ამოცანების ამონსნაზე გარჯოშს, პროგრამით გათვალისწინებულ სადემონსტრაციო ცდებს, ლაბორატორიულ სამუშაოებსა და პრაქტიკულებს, რის შედეგად ეს საგნები ისწავლება შერელუდ, მოსწავლეებს არ ეძლევათ საფუძვლიანი ცოდნა და პრაქტიკული ჩვევები. მასწავლებელთა ერთი ნაწილი სუსტად ფლობს საგანს, მიის სწავლების მეთოდებსა და ხერხებს, განსაკუთრებით კი ექსპერიმენტის ტექნიკას, არ ემხადება გაცემითლებისათვის, არ სარგებლობს საჭირო მეთოდური ლიტერატურით, არ ეცნობა მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებს. ხშირ შემთხვევაში ფიზიკის, ქიმიისა და ბიოლოგიის კაბინეტები მოთავსებულია ერთ ოთახში, რის გამო არ ხერხდება ნორმალური საცდელი მუშაობა არც ერთ ამ საგანში; ზოგ სკოლაში კაბინეტისათვის თუმცა გამოყოფილია საქმარისი ფართობი, მაგრამ იგი კეთილმოუწყობელია, არ არის მაგიდები ლაბორატორიულ-პრაქტიკული მუშაობისათვის, კარადები ხელსაწყოებისათვის, ამწოვიკარადა, მოწყობილი არ არის დაბრულება, ელექტროგავყანილობა. სასწავლო კაბინეტები გადატვირთულია ერთი და იგივე სახის ხელსაწყოებით, ხოლო ფრონტალური ლაბორატორიული და პრაქტიკული მუშაობისათვის აუცილებელი მოწყობილობა კაბინეტს არა აქვს. ბევრ სკოლაში საცდელ ნაკვეთს არ უვლიან და მას სასწავლო მუშაობისათვის არ იყენებენ. მანშენელოვანი ნაკლოვანებებია ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის და გეოგრაფიის სწავლებაში. ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლები სრულად ვერ იყენებენ ამ საგნების პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით გათვალისწინებულ მდიდარ მასალას მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკეთებით-აღზრდისა და მასში მეცნიერული, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების მიზნით. თუმცა



მოსწავლეებმა იციან ისტორიული ფაქტები, თარიღები, შეუძლებელი ისტორიკული მოვლენები, მაკრავ შეკრებულად ვერ ერჩვენ ვიან ამ მოვლენებს შორის მახრე-შედეკონტაც კავშირში, ვერ ახერხდენ კონკრეტულად დაასახათო სათანაზო ისტორიულ ეპოქიში ამა თუ იმ ქვეების განვითარებას მათთა ჩაუკეთები ძალება. თავის მარივ გეოგრაფიული დასკავლაების მასწავლებლება უპირატეს ყურადღებას იმას იქვევნ, რომ ბავშვებმა დახახომონ გეოგრაფიული ნომერკლატურა, თავს არადებენ აცტალებელ განთოვანებებს და ხშირად სათანადო ვერ იქნებენ გეოგრაფიას სახელმძღვანელოებში მოცემულ უავ მასალას სკოლას წარაშე მოსწავლეთა ზნეობრივი აღზრდის დარგშა დასასულა ამოცაებას პრაქტიკულად გადასაწყვეტად.

მრავალ სკოლაში საგრძნობ ნაკლოვანებებს აქვს აღგილი შრომითი და პოლიტექნიკურა სწავლების დარცვა.

სკოლების დირექტორები და მათთა მოადაპტება დიუვერენცირებულ დანარჩებას ვერ უშევე; მასწავლებლებს I-IV კლასებში შრომითი სწავლებას, V-VIII კლასებში შრომითი პოლიტექნიკური სწავლებისა და 9-10 კლასებში, კერძოდ, შრომითი პოლიტექნიკური პრაქტიკულების არგანიზებულად მოწეობა-ჩატარებას საქმეში მრავალი სკოლა სათანადო ვერ იქნებს სკოლასა და სკოლის მახლობელ გარემოში არსებულ საწარმოო და სასოფლო-სამეურნეო ბაზებს საიმისოდ, რათა გააღვიფოს მოსწავლეებში ტექნიკი-სადმი ინტერესი; ბევრ სკოლაში შრომითი პოლიტექნიკურა სწავლება მოწყვეტილია ბუნებათმეცნიერული ციკლის საგნების სწავლებისაგან. სკოლებში, საერთოდ, დაქვეაუცემულია ინტერესი სასოფლო-სამეურნეო კულტურების საცდელად გაშენებასა და მოელა-მოყვანის საქმისადმი, ხოლო ზოგ სკოლაში მავიწყებულია მიწის ნაკვეთზე საცდელი მუშაობის ხაზით წლებას გამაკლობაში შექმნილი ტრადიციები. ბუნებათმეცნიერული საგნებას—ყაჩიების, ქიმიის, ბიოლოგიის ხაზით წარმოებულ საწრეო მუშაობაში ვერ კიდევ არა-დამაქმაყოფილებელ გამოჩატულებას პოლიტექნიკური სწავლების იმოცანებთან დაკავშირებული თემატიკა. ბევრგან სკოლების ხელმძღვანელთა და მასწავლებელთა ყურადღებას ცენტრში არ დგას სისტემატური მუშაობა მოსწავლეებთან პროფესიული ორიენტაციის მიზნით.

სკოლების საკმაოდ დიდი ნაწილის პედაგოგიურ კოლექტივთა ყურადღების ცენტრში არ დგას მოსწავლეთა შორის იღეურ-



აღმზრდელობითი შეუშაობა. ბევრი მასწავლებელი აღმზრდელობის მიზნით უნარიანად ვერ იყენებს პროგრამებსა და სახელმძღვანელოებში ჩვენი ქვეყნის გმირული ისტორიისა და აწყობს, ჩვენი ხალხის მაღალი მორალური თვისებების, თავდადებული შრომის, მეცნიერებისა, ტექნიკისა, ლიტერატურისა, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგებში მოპოვებულ უმაგალითო მიღწევების ამსახველ ფაქტებსა და მასალებს. უგზლებელყოფილია ბავშვებისადმი დიაფერენცირებული მიღომა. ზოგიერთი მასწავლებელი მშრალად, ერთი შაბლონით უპასუხებს მოსწავლეთა ასაკის ცვლითა და ინდივიდუალური თავისებურებებით გამოწვეულ მრავალფეროვან მოტხოვნილებებს. ბევრი სასოლო პედაგოგიური კოლექტივი მტკიცე და საქმიანი კავშირით არაა შეკრული პიონერულ და კომუნისტიულ თრგაზიზაციებთან, სკოლისგარეშე დაწესებულებებთან, არ იცნობს მათ მღიდარ შესაძლებლობებს, ვერ ექმარება და მათ დახმარებასაც ჯეროვნად ვერ იყენებს მოსწავლეთა მრავალფეროვანი სულიერი ინტერესების დასაცმაყოფილებლად. ბევრ სკოლაში სათანადო დახმარებისა და ზედამხმარელებლობის უქონლობის გამო კლასის ხელმძღვანელთა მოვალეობა მხოლოდ ტექნიკური საქმიანობით—უცრნალების, წარმატების ფურცლების, მოსწავლეთა შესახებ სხვადასხვა ცნობების შევსება—შეგროვებით შემოიფარგლება, უმთავრესი კი, ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებების, ოჯახური და გარემო პირობების შესწავლა, ბავშვთა ინტერესების გამოვლენა, მათგან დადებითის განვითარებისათვის ზრუნვა და უარყოფითის აღმოფხვრა, საქმის არსებითი მხარე კი ყურადღების გარეშე რჩება. ამის პირდაპირი შედეგია ის, რომ ზოგჯერ სკოლა მხოლოდ მაშინ იწყებს გარევევს ბავშვის მდგომარეობაში, როცა მას ცუდი რამ შეემთხვა, თავიდანვე კი ამის ასაცილებლად ეფექტურ გამაფრთხილებელ ზომებს არ დებულობს. ზოგიერთი სკოლის ხელმძღვანელობა ცდილობს უდისციპლინო მოსწავლე სხვა სკოლას გადააბაროს, და თუ ეს არ მოხერხდება, სათაკილოდ არ თვლის იმასაც, რომ ბავშვი სკოლის გარეთ დარჩეს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა მომზადების დაბალი დონე პირველყოვლისა იმით არის გამოწვეული, რომ მასწავლებლობის მნიშვნელოვანი ნაწილი ბევრითად არ მუშაობს თავის საგანმანათლებლო ცოდნის გაღრმავებისა და პროფესიული დახმარებების გაუმჯობესებისათვის. ამასთან მასწავლებლობა ერთობლივად არაა მობილიზებული იმ ამოცანების გარშემო, რასაც სკოლას უყენებს



ჩვენი ქვეყნის მძღავრი ტექნიკური და ეკონომიკური პროგრესი განათლების აღილობრივი ორგანოები, სკოლების ხელმძღვანელები და მასწავლებლები ცოტას აკეთებენ იმ მიზნით, რომ სწავლებაში დანერგონ სასწავლო კიონ, ტელეხედვა და სხვა ახალი თანამედროვე ეფექტური ტექნიკური საშუალებანი, ექსპურსიები, საცდელაბორატორიული და სხვა სახის პრაქტიკული საქმიანობა, მოდელირება, თვითნაცემობებებს მუშაობა და სხვ. მეტიც, ცოტა როდია ისეთი სკოლა, რომელთა ფაზიის, ქიმიის, ბიოლოგიისა და სხვა საგნების მასწავლებლებს არ შესწევთ უნარი გამოიყენონ ტრადიციული საღმონსტრაციო მოწყობილობა და მოაწყონ უმარტივესი ცდებიც კი.

ამასთანვე მასწავლებელთა საქმაოდ დიდი ნაწილი, და არა-იშვიათად მათ შორის ისეთებიც, რომლებსაც ცოდნა და გამოცდილება არ აკლიათ, მტკიცე ინტერესსა და პასუხისმგებლობას არ იჩინებ, მინდობილი საქმისადმი და გაკვეთილებს მოუმაღლებლიდ ატარებენ, რათა თავი გაიმართლონ სკოლისა და მშობლების წინაშე, ეს მასწავლებლები გარკვეული პროპორციით წერენ მაღალ, საშუალო და დაბალ ნიშნებს და ამით თავისი მოვალეობა შესრულებულად მიაჩინათ. მოსწავლის ცოდნა, რომელმაც სავნის კურსის უმოაცერესი საკითხებიც კი არ იცის, ხშირად ფასდება „3“-ით, ზოგადერთები კი დაუმსახურებლად დებულობენ „4“-ს, და „5“-ს. ამის გამო ზოგიერთი მოსწავლე, ყოფაქცევისა და აკადემიური წარმატების ფურცლებით თუ ვიმსჯელებთ, პირველი კლასიდან ხუთოსანია და მშობლებიც გულდამშეიდებას ეძლევიან. როცა შემოწების შედეგად იჩვევევა, რომ ბავშვმა სასკოლო კურსის ძირითადი საკითხებიც კი არ იცის დამატაყოფილებლად, მასწავლებლებსა და მშობლებს შორის იწყება დაუსრულებელი დავა. სკოლის ცალკეული მუშაკები ასე ფორმალურად შედგენილი აკადემიური წარმატების ფურცლებით ცდილობენ დაუმტკიცონ განათლების ორგანოებს, რომ სკოლას ჟყავს წარჩინებული მოსწავლენი.

დღემდე სკოლებში არც თუ მცირე რაოდენობით, კელავ მუშაობენ ძალშე მოცმბადებელი მასწავლებლები, რომლებსაც ამის გამო მოსწავლეთა შორის ავტორიტეტი დაკარგული იქნა. მიუბედავად იმისა, რომ მათ სისტემატურად ექმარებიან, მიუთითებენ, აფრთხილებენ, უსაყველურებენ, ისინი კულავ ერთ დონეზე რჩებიან. ჰუმცა სკოლის ხელმძღვანელებისა და პედაგოგიური კოლექტივებისათვის საქმარისად არის ცნობილი მათი სუსტი მუშაობა, მაგ-

რამ არ არის შეკმნილი მტკიცე, ერთიანი საზოგადოებრივი ამაღლებების რათა ასეთი მასწავლებლები ჩამოაცილონ პედაგოგიურ საქმიანობას. ამის გვერდით, ზოგიერთ სეოლაში ფეხს იყიდებს კარიბიკურილობა, რაც იმით გამოიჩატება, რომ მცოდნე, ენერგიულ ახალგაზრდა მასწავლებლებს სეოლის კარს უტობენ, რასაც არაიშვიათად განათლების განყოფილებებიც უწყობენ ხელს.

სასწავლო მეშაობის ხარისხის მასობრივად ამაღლებაზე ძალზე მძიმე გავლენას აქვთ რეპეტიტორიული პრაქტიკი, რაც უკანასკნელ ხანს ფართოდ ვრცელდება დელაქალაქისა და ზოგიერთი სხვა ქალაქის მასავალ სეოლაში. მასწავლებელთა ნაწილი, ერთმანეთთან წინასწარი შეთანხმებით, ხელოვნურად ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობლებმა კერძოდ ამაღლონ თავიათი ბავშვები მაჟემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიასა და სხვა საგრებში. ამ ნიაღავზე ცალკეულ სეოლებში მასწავლებლებსა და მშობელთა შორის ნორმალური ურთიერთობა იჩვევება და ზოგჯერ მუცველ კონკლინტებში გადაისის, რაც ძირს უთხრის მშობლებისა და ფართო სახოგადოების თვალში სკოლის აცტრიტეტს.

ასეთი მანქიერი პრაქტიკულსა და იდეურ მასწავლებლებში და მშობელთა შორის სამართლიან აღშვიონებას იწვევს, მაგრამ ადგილებზე მის აღმისავარებულად ეცავს ზომებს არ ღებულობენ. ამას თან ერთვის ისიც, რომ მშობელთა შორის მუშაობას თანმამდევრული ხასიათი არა აქვს, არ ეჭვემდებარება სწავლების ხარისხის ამაღლების ჭრიშმარიტ ამოცანებს, ამის გამო მოსწავლეება აკადემიური წარმატების ამაღლების მიზნით სკოლისა და ოჯახის მიერ ერთობლივი ღონისძიების გატარება ვეღარ ხერხდება.

გასულ სასწავლო წელს საგარენებო მეშაობა ჩატარდა მედლების — საუკუნეო თავის სეიალისა და სანიცხში ყოვაქცევის მეთევ მოსწავლეთა თვის დაწესებული ამ საპატიო ჯილდოს — ზინიჭების საქმიანობას მოაწესებარებულად, რამაც დადებითი შედევი გამოილო: თუ 1965-1966 სასწავლო წლის ბოლოს რესპუბლიკაში 5044 მედალი გაიცა (მედალი მიეცა კურსდამთავრებულთა 6,3 %), 1966-1967 სასწავლო წელს მედლების რიცხვი 495-მდე შემცირდა (მედალი მიიღო კურსდამთავრებულთა 0,98 % -მა). მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის ცალკეულ სკოლებში მედლები ისე გამამოსწავლებმაც მიიღეს, რომლებიც საამისოდ დაწესებულ პირობებს ვერ უასეცებდან. მაგალითად, ქ. ქუთაისში, სადაც როგორც



სასწავლო-ტექნიკური მოწყობილობით, ისე კვალიფიციური მასწავლებელთა დამარცხენილებით სკოლები უკეთ არიან უზრუნველყოფილი, 2000-მდე მოსწავლიდან მედალი მაილო 8 მოსწავლემ, ქ. რუსთავში 1400-მდე მოსწავლიდან—14 მოსწავლემ, ქ. გორში და გორის რაიონში 1000-მდე მოსწავლიდან—6 მოსწავლემ, ჭიათურაში 600-მდე მოსწავლიდან 3 მოსწავლემ, ზესტავონის რაიონში 800-მდე მოსწავლიდან 1 მოსწავლემ. ამავე დროს ზოგიერთ ისეთ რაიონში, რომლის სკოლებს ჯერ კიდევ არა აქვთ მტკიცე სასწავლო ბაზა და უფრო ნაკლები რაოდენობით ჰყავთ გამოცდილი მასწავლებლები, მედლები დიდი რაოდენობით გასცეს. მაგალითად, ამეტის რაიონში—9, მარნეულის რაიონში—7, სავარეკოს რაიონში—5, წითელწყაროს რაიონში—6, ტყიბულში 9 მოსწავლე დაჯილდოვდა მედლით.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ ზოგიერთი სკოლის დირექტორი, მისი მოადგილე სასწავლო მუშაობის დარგში, აგრეთვე მასწავლებლობის მიზნებით ნაწილი ვერ იჩეს თანმიმდევრულ პრინციპულობას, ხშირად ექცევა მშობლებისა და სავა დაინტერესებული პირების გავლენის ქვეშ და მედლის მარიჭების საკითხს წყვეტს არა დაწესებულ მოთხოვათა შესაბამისად, არამედ არასემანი ნიშნებით და თავს იმათ იმართლებს, რომ ესა და ეს მოსწავლე სკოლაში ყველახე უკეთესია და მას შეიძლება მიეცეს მედალი.

ასეთი განწყობილებით აიხსნება ის, რომ გასული სასწავლო წლის ბოლოს, მიუხედავად განათლების სამართლებრივ მუცრი გაფრთხილებისა, მედალონის კანდიდატებად დამატებით წარმოადგინეს ზოგიერთი ძალზე დაბალი მომზადების მოსწავლე. მაგალითად, ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლის მიერ წარმოდგენილი 3 მოსწავლიდან 2 იმდენად მოუმაღლებებული აღმოჩნდა, რომ ვერ შეძლო ორი რიცხვის ჯამის გვადროატში ახარისხება, მარტივი სახის ევადრატებული განტოლების ამონსა, მოცემული ტრიგონოგრაფიული ფუნქციით დანარჩენი ფუნქციების პოვნა; ასევე დაბალი მომზადება გამოიჩინეს მათემატიკური მე-2, ზუგდიდის მე-5, მახარაძის, 1-ლი და მე-2, თბილისის 53-ე და 24-ე, ბათუმის რაიონის ჩაისუბნის, თეთრი წყაროს რაიონის მარგლისის საშუალო სკოლის მიერ წამოყენებულმა მედლის კანდიდატებმა.

დასახელებული ნაკლოვანებაზ არსებითად იმათ არის განპირობებული, რომ სკოლებშე ხელმძღვანელობა და ზედამედველობა



ზოგჯერ არა დგას პრინციპულ სიმაღლეზე. განათლების აღგენერაციული რიგი ხელმძღვანელი ორგანოებისა და პედაგოგიური კაბინეტების მუშავებისა და მეთოდისტთა აქტივის მიერ სკოლების სასწავლო-სააღმარდელო მუშაობის შემოწმება ხშირად ზერელ ხასიათს ატარებს და ნაკლოვანებათა გამოსწორების მიზნით გადამტრელი ლონისძიებანი არ ხორციელდება. თუმცა წარმატების ცხრილების, მეოთხედების და წლის ბოლოს პედაგოგიური საბჭოების სხდომებსე მოსმენილი ანგარიშებისა და სწავა ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით სკოლებში საქმე თითქოსდა ნორმალურად მიმდინარეობს, მართალია, არიან ოროსანი მოსწავლერი, მაგრამ ოთხოსან, ხუთოსანთა რიცხვიც არაა მცირე და მდგომარეობა საერთოდ ვითომცდა დამამაყოფილებელია. სკოლის საქმიანობის ღრმა და პირუთვნელი შემოწმების შედეგად კი ნათელი ხდება, რომ მოსწავლეთა წიგნიერებისა და საერთო კულტურის დონე ძალზე დაბალია, ხოლო მათი მომზადება ცალკეულ სასწავლო დისციპლინებში ზერელ და არა-მტკიცეა.

მა უკანასკნელ წლებში მოპოვებული საგრძობი წარმატებების მიუხედავად მრავალ სკოლაში ჯერ კიდევ არა დგას მოწოდების სიმაღლეზე ესთეტიკური აღზრდა. მცსიკა-სიმღერისა და ხატვის მასწავლებელთა მასშენელოვან ნაწილს სიმისო ცოდნა არა აქვს, რომ ამ საგნების სწავლება დამაკმაყოფილებლად წარმართოს. მეორე მხრივ დედაენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგნების მასწავლებლები საქმის ამ მარეს საჭირო ყურადღებას არ აქცევენ და იმ მდიდარ მასალას, რაც პროგრამებსა და სახელმძღვანელო წიგნებშია მოცემული ესთეტიკური აღზრდის მიზნით, სრულიად ვერ იყენებენ. სკოლების დიდ ნაწილში მოწევსრიგებული არ არის ესთეტიკური გარემო, არაა დამკარებული ერთიანი ესთეტიკური რეჟიმი. სუსტია კავშირი სკოლისა და სკოლისგარეშე დაწესებულებებს შორის, ერთობლივი ღონისძიებანი ესთეტიკური აღზრდის დარგში არ ხორციელდება.

ის ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში ჩვენი მოსწავლეები-საკავშირო სპარტაკიალებზე საპატიო ადგილს იკავებენ, თავისთავად მიუთითებს ამ მარივ არსებული წარმატებების შესახებ. მიუხედავად ამისა, ფიზიკური კულტურის ღონე მრავალ სკოლაში კვლავ დაბალია. მრავალ სკოლას არა აქვს სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად სათანადო ბაზები, ხოლო ბევრგან არსებულ ბაზებს სრული დატვირთვით არ იყენებენ. მოსწავლეთა საქმაოდ დიდი ნა-

წილი ფიზკულტურის გავეთილებს არ ესწრება, ზოგ სკოლაში დაბალ დონეზე ტარდება ეს გავეთილები, სკოლისგარეშე ფიზკულტურულ ღონისძიებებში მოსწავლეთა მხოლოდ მცირე ნაწილია ჩაბმული.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებია აგრეთვე სწავლებისა და სასკოლო მუშაობის ორგანიზაციის, მასწავლებელთა შორის მეთოდური მუშაობისა და სასკოლო საქმიანობის მთელ რიგ დარგებში.

ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სწავლა-აღზრდის გაუმჯობესების მიზნით კოლეგიამ მიიღო დადგენილება და სკოლების მემკაფთხოვებისა და განათლების ორგანოების წინაშე 1967-1968 სასწავლო წლისათვის დასახა შემდეგი ძირითადი ამოცანები:

### საჭოგოლთაო განათლება

ა. სასწავლო წლის დაწყებისთანავე სკოლებში უკლებლივ იქნეს ჩაბმული სკოლის ასაკის ყველა ბავშვი და მოზარდი, რის განხორციელებაც, არსებული კანონმდებლობის საუძველეს, ადგილობრივ საბჭოებთან ერთად დაეკისროს: დამოუკიდებელი დაწყებითი სკოლების მაკრორაიონში—ამ სკოლების გამგებს და იმ რვაწლიან და საშუალო სკოლების დირექტორებს, რომლებშეც მიმაგრებულია დაწყებითი სკოლა, რვაწლიან და საშუალო სკოლებში—მათს დირექტორებს.

ბ. შედგეს I-VIII კლასების ასაკის იმ მოზარდთა სიები, რომლებსაც ფიზიკური და სხვა დეფექტის გამო არ შეუძლიათ იარონ სკოლებში, ცალკე გამოიყოს გონიერივი დეფექტის მქონე ბავშვები, დეფექტზე მითითებით, რაც დადასტურებულ იქნება ადგილობრივი საბჭოებასა და ექიმის მიერ.

მათ შორის იმ მოზარდებზე, რომლებსაც შეუძლიათ შინ დაძლიონ სასკოლო კურსი ინდივიდუალური მეცადიონების გზით, მიამაგრონ მასწავლებლები. ამ ბავშვების გვარები ცალკე. დამატების სახით შეიტანონ სათანადო კლასის უზრაღლებში; სკოლების ხელმძღვანელებმა პირადი პასუხისმგებლობით უზრუნველეს დასახელებული კატეგორიის ბავშვები კურსის ათვისებისათვის აუცილებელი პირობებით—სახელმძღვანელოებით, სასწავლო ნივთებით,



მაღალხარისხოვანი კონსულტაციების ჩატარებით დაწესებული განვითარების  
დღეებში.

კონვენციით დაფიქტის მქონე იმ მოზარდების სიები, რომელთა  
ჩაბმა სწავლებაზე დასაცავები წესით მოუხერხებელი ხდება, ა/შ  
10 სექტემბრის წარმოდგენილ იქნეს განათლების სამინისტროში.  
სპეციალური სკოლებისა და საბავშვო სახლების სამმართველომ  
სექტემბრის ბოლო მდგრ დაიჯიმოს ცერტები რესპუბლიკაზე სწავლე-  
ბის გარეშე დარჩენილი სტუდენტები გონიერი დაფიქტის მქონე  
ბავშვების შესახებ და მათი სათანადო ტრიბუნის სკოლების მოსაწყო-  
ბად წარმოდგინოს კონცერტი დოკუმენტის დოკუმენტის მოსაწყობანი.

გ. რვაწლიანი სკოლის უძრავი მოსწავლეთა უ-  
მდგომი საფეხურის სკოლების ჩაბმის საქმის აღრიცხვის მოწესრი-  
გების მიწნით, და რვაწლიან და საზუალო სკოლაში უმოლებულ  
იქნეს საგანგებო წიგნი, რომელიც 1965-1966 წლის გამოცვები-  
დან დაწყებული, კონცერტი და და აღინიშნება, თუ სად და რომელ  
სკოლაში გარაგრძობს სწავლას ან სად იმუოუება და რა საქმიანო-  
ბას ეწევა ამ სკოლის რეაცია სტუდენტებული მოსწავლე.

დ. განათლების განვითარებებმა სექტემბრის პირველ დღე-  
დაში ადგილობრივ საბჭოებთან ერთად საფუძვლიანად წესისწავლონ  
საყოველთაო განათლების განხორციელების მდგომარეობა რაიონი,  
ქალაქი, ეს საკითხი განსხივებული წეიტრონ რაიონულ, საქალა-  
ქო საბჭოები და არა უგვიანეს 20 სექტემბრისა განათლების სამი-  
ნისტროს წარმოუდგინონ კონცერტული ანგარინი მათ მიერ ამ  
მიმართულებით ჩატარებული მუნიციპალიტეტის წესახებ მოსწავლეთა კონ-  
ტინგრატის გეგმის წესრულების, სკოლიდან ჩამოცილებული ბავშვე-  
ბის სწავლებაზე ჩაბმის, ფიზიკური და გონიერი დაფიქტის მქონე  
ბავშვების წესახებ აუცილებელი ცერტების თანადართვით.

ე. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
კოლეგიის წევრებს ამ. ამ. ა. გვარეს, დ. ჯავახიას და ვ. ჩინ-  
ჩალა ძეს 15 ოქტომბრის წემოიტონ განათლების სამინისტროს  
კოლეგიაზე განსახილებულ საკითხი რესპუბლიკის სკოლების საყო-  
ველთაო განათლების განხორციელების დარგზე არსებული მდგო-  
მარების წესახებ.

### საცავლო-ტექნიკური გაზა

ა. მტკიცედ იქნეს გათვალისწინებული, რომ ამჟამად სწავლე-  
ბაში ახალი ტექნიკური საზუალებების დანერგვისა და არსებულ  
16

საშუალებათა მაქსიმალურად გამოყენების გარეშე სკოლა ვერამდება-  
ლებს დასახული ამოცანების გაღაწყვეტას; გატარდეს ღონისძიება-  
ნი, რათა ეს საქმე სკოლების პედაგოგიური კოლექტივების ერთო-  
ბლივი და წევნელებელი ზრუნვის საგნად იქცეს.

ბ. კატეგორიულად აიკრძალოს, თუნდაც მეცადინეობათა  
ცვლიანობის წემცირების საბაბით, სასწავლო კაბინეტების გაერ-  
თიანება; კაბინეტები უზრუნველყოფილი იქნეს აუცილებელი დამ-  
ავეჯით, ელექტროგავყანილობით, წყლით, დაბნელებით, საჭირო-  
ხელსაწყო-იარაღებით, მოღელებით და სხვადასხვა აუცილებელი  
მასალებით.

გ. სრულ წესრიგსა და მზადყოფნაში იქნეს მოვანილი კაბი-  
ნეტების, ლაბორატორიების, სახელოსნოების იარაღ-მოწყობილობა,  
სამაგალითოდ იყოს დაყენებული მათი მოვლა-დაცვის საქმე; ფიზი-  
კის, ქიმიის, ბიოლოგიის და სხვა საგნების იმ მასწავლებლებს,  
რომლებიც არ უვლიან კაბინეტებს და არ იყენებენ მათ სწავლე-  
ბაში, ჩიმოეროვათ გავვეთიღები ამ საგნებში.

დ. განსაკუთრებული ყურადღება მიენცეს სწავლებაში კინო-  
გადვეთიღების დაწერგვას, ტელეედვას, მაგნიტოფონის, და და-  
ეპიროპროექციებისა და სხვა თანამედროვე ტექნიკურ საშუალე-  
ბათა გამოყენებას და ამ მიზნით საწევო დახმარების საქმის ორგა-  
ნიზებას.

ე. ბოლომდე აღმოიფხვრას ის დაუშვებელი უყურადღებობა,  
რასაც უგანასკუნელ ხანები იჩენენ მრავალ სკოლაში სასწავლო-  
საცდელი ნაკვეთებს მოვლისა და დაცვის მიმართ; გატარდეს  
ქმედითი ღონისძიებანი, რათა სასწავლო-საცდელი ნაკვეთები ბიო-  
ლოგიისა და ქიმიის სწავლებისას სოფლის მეურნეობაში მოსწავ-  
ლეთა საცდელი მეზობის სანიმურო ლაბორატორიებად იქცნენ.

ვ. სადაც წესაძლებელია, გადაიღვას ნაბიჯები სკოლებში  
ტექნიკურ საშუალებათა კაბინეტების მოსაწყობად.

## მინისტრის საფუძვლების სრულება

ა. შეიქმნას სკოლებში ცველა საიმისო პირობა, რომ ყოველი  
მასწავლებელი სისტემატურად მეშაობდეს თავის თავზე, ეცნობო-  
დეს ცველა მაისუნელოვან სიახლეს საჭურავო მცეციალობაში და  
აქტიურად მონაწილეობდეს მასწავლებელთა კუთხით მეთო-  
დურ საქმიანობაში, სისტემატურად უთხოებოდეს ურნალ-გაზე-



თებს და კარგად იყოს გარევაული ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური და კულტურული განვითარების საქმეში.

ბ. ბოლომდე აღმოფხვრას სასწავლო პროგრამებისადმი თვით-ნებური დამოკიდებულება, მათი შეკვეცა და გაუბრალოება, სკო-ლის მუშაკებზი განმტკიციდეს, იმის შეგნება, რომ სასწავლო პრო-გრამა არის სახელმწიფო დოკუმენტი, რომლის მთლიანად და მა-ლიანზარისხოვნად ათვისება მოსწავლეთა მიერ თვით სკოლაში გადვეთილების მაღალ დონეზე ჩატარებით ურლვევი კანონი და მო-ვალეობაა ყოველი მასწავლებლისათვის. აღიკვეთოს რეპეტიტორობის პრაქტიკა, რაც უტესს სახელს სკოლას. აღდგეს თვის უფლე-ბებში დამატებითი ინდივიდუალური მუშაობის პრაქტიკა თვით საგნის მასწავლებლის მიერ იმ მოსწავლეებთან, რომლებსაც ეს სჭირდებათ.

გ. თანმიმდევრული, სისტემატური მუშაობა გაიშალოს იმ მიზნით, რათა ამაღლდეს აკადემიური წარმატების შეფასების ნი-შან „3“-ის როლი და ღირსება. ერთობლივი ქმედითი ღონისძიე-ბანი გატარდეს იმ მიმართულებით, რომ ეს შეფასება მხოლოდ იმ მოსწავლეებს ეძლეოდეს, რომლებმაც ნამდვილად მკვიდრად იციან სასწავლო საგნის მინიმუმი. გატარდეს ქმედითი ღონისძიებანი „4“-ისა და „5“-ის გაუთასურებისა და საერთოდ წარმატების შე-ფასების საქმეში თვალის ახვევის პრაქტიკის წინააღმდეგ, რაც ასე სცემს მოსწავლეობისა და საზოგადოებრიობის თვალში სკოლის ავტორიტეტს.

დ. ჯეროვანი ყურადღება მიექცეს დაწყებით განათლებას. დაწესდეს მტკიცე ზედამხედველობა დაწყებითი კლასების მასწავ-ლებელთა მუშაობაზე და მიღწეული იქნეს ის, რომ ამ კლასებში ბავშვები დაწესებული პროგრამების ფარგლებში კარგად ეუფლე-ბოდნენ დედაქნას, რუსულ ენას, თვლა-ანგარიშს, გამომუშავებუ-ლი ჰქონდეთ შრომის უნარი და კულტურა, უყვარდეთ წიგნი, სწავლა და შრომა.

ე. ყურადღების ცენტრში დადგეს დედაქნისა და ლიტერატუ-რის სწავლება. მთავარ ამოცანად იქნეს დასახული მოსწავლეებში დამოუკიდებელი კითხვის ინტერესის გაღვივება და სწორმეტყვე-ლებისა და სწორი წერის ჩვევების დანერგვა და დამოუკიდებელი აზროვნების, დამოუკიდებლად წერის უნარ-ჩვევების გამომუშავება. მეცნიერების გრძელება განვითარება ე. წ. „შპარგალებების“—სკოლის ამ სა-მარცხისნო სენის—წინააღმდეგ.



სკოლებში დაწესდეს ერთიანი ენობრივი რეჟიმი და ეზოში განვითარებული სისტორის დაცვა ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის საპატიო მოვალეობად იქცეს.

ვ. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს რუსული ენის სწავლების საქმეს. მიღებული იქნეს გადამჭრელი ზომები, რათა სკოლები ამ საგანზი უხრუნველყოფილი იქნენ ქვალიფიციური მასწავლებლებით. რუსული ენის კარგად დაუფლების მიზნით გაპვეთოლებთან ერთად ფართოდ იქნეს გამოყენებული პრაქტიკით გამართლებული კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის სხვადასხვა ფორმები—კლასგარეშე კითხვა, თემატიკური დილა-სალამოების მოწყობა, აღმანახებისა და სხვადასხვა ფურცლების შედგენა რუსულ ენაზე, კინო, ტელეცდევა და სხვ.

ზ-ჯეროვანი ყურადღება მიექცეს უცხო ენების სწავლებას. უცხო ენების შეტევისას მტკიცედ იქნეს დაცული ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ ენათა პროპორციული შეფარდება დაწესებული ნორმების მიხედვით.

თ. ისტორიის, საზოგადოებათმცოდნეობის, გეოგრაფიის სწავლებისას ფაქტების, მოვლენებისა და სპეციალური ნომენკლატურის მკვიდრად შესწავლასთან ერთად ჯეროვანი ყურადღება მიექცეს შესწავლილი მასალის განზოგადებას, ისტორიული მოვლენებისა და გეოგრაფიული ფაქტორების როლისა და აღვილის სწორად განსაზღვრას, მოსწავლებში მწყობრი მეცნიერული ოვალსაზრისის შემუშავებას.

ი. არსებითად გაუმჯობესდეს მათემატიკური დისტიპლინების სწავლება. პროგრამით დაწესებული მასალის მწყობრად, გასაგებად, თვალსაჩინოდ გადაცემასთან ერთად, განსაკუთრებული ადგილი დაეთმოს თანმიმდევრულ სისტემატურ ვარჯიშს სათანადო სიძნელის ამოცანების ამოასწისა და მაგალითების გამოყვანაზე მათემატიკური დისტიპლინების კურსიდან. იმ მასწავლებლებს, რომელთა მოსწავლეების უმრავლესობა დაუფლებული არ არის საგანს და ერთ ახერხებს საპროგრამო კურსიდან საშუალო სიძნელის ამოცანების ამოასწისა; ჩამოერთვათ გაცვეთიდები ამ საგანში.

კ. ბუნებათმეცნიერული საგრძნების—ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის სწავლებისას ყურადღების ცენტრში იქნეს დაყენებული კურსის თეორიული დებულებების მჭიდროდ დაკავშირება საგალდებულო პრაქტიკულ გარჯიშთან, ლაბორატორიულ მუშაობასთან,

თვითკეთებასთან, მიზნობრივი ხასიათის ექსპურსიებთან დამკავშირებლის სასწავლო მიწის ნაკვეთზე საცდელ მუნიციპალიტეტის სამსახურის მიერ განვითარება, მათი ტექნიკური ცოდნის დონის მასობრივად ამაღლება;

### შრომითი პოლიტიკის აღზრდა

ა. შრომითი პოლიტიკის აღზრდის მთავარ მომცანად იქნეს დასახული მოხარებითი ზრომისადმი საყვარელის აღზრდა, მოსწავლეა ტექნიკური აზროვნებისა და კონსტრუქტორული ნიჭის განვითარება, მათი ტექნიკური ცოდნის დონის მასობრივად ამაღლება;

ბ. სათანადო დახმარებისა და ზედამხედველობის მეშვეობით ქმედითი ზომები იქნეს განხორციელებული, რათა საპროგრამო მასალა ზრომითი პოლიტიკის სწავლების დარგში ყოველი მასწავლებლის მაერსრულად იქნეს გავლილი;

გ. სკოლის ხელმძღვანელებმა მიიღო საჭირო ზომები, რათა სასკოლო ნაკვეთები, სახელოსნოები და კაბინეტები სრულყოფილად იყოს მოწყობილი და სისტემატურად წევისოს სათანადო ხელსაწყოებითა და მასალებით; სახელოსნოებსა და კაბინეტებში მტკიცედ იქნას დაცული უსაფრთხობის ტექნიკა და სანიტარულ-ჰიგიენური წესები;

დ. გადაჭრით იქნეს გაუმჯობესებული საცდელი მუშაობა მიწის ნაკვეთზე და ამ მაზნით ფართოდ იქნეს გამოყენებული სკოლის კავშირი რაიონები არსებულ საცდელ სადგურებთან, ლაბორატორიებთან, კლემურრებობებთან, საჭირო მეურნეობებთან.

ე. გადაჭრით იქნეს გაუმჯობესებული საწრეო სასკოლო და სკოლისგარეწვე მუნიციპალიტეტისთა და ნორჩი ნატურალისტთა წორის, პერიოდულად მოაწყოს მათი ნამეშვერების შინასასკოლო და რაიონული გამოყენები;

ვ. სისტემატური ხასიათი მიეცეს მუშაობას მოსწავლეთა პროფესიული ორიენტირებასათვის და ამ მიზნით სკოლების მუშაკებთან ერთად ფართოდ იქნეს გამოყენებული ლექციები და საუბრები მოწვევულ პირთა მეცნიერით, ექსპურსიები და სხვა სათანადო საშუალებანი.

### აღმზადელობითი მუშაობა

ა. პედაგოგიურმა კოლექტივებმა დასხლიონ შაბლონი და ერთფეროვნება და იდეურ-აღმარტიდელობითი მუნიციპალიტეტის სასწავლო ცირკულარი სწავლებისა და სკოლისგარეწვე მუნიციპალიტეტის მციდრო 20

ურთიერთკავშირის გზითა და მრავალფეროვანი მეთოდებით. ძირი-  
თად ამოცანად დასახორ მოსწავლეთა კომუნისტური, მეცნიერული და  
ათეიისტური სულისკვეთებით აღზრდა, ცოდნისადმი მათი შემცე-  
ნებითი აქტივობის ამაღლება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი  
მიღწევებისადმი ბავშვთა ინტერესის გაღვივება, სწავლისა და შრო-  
მისადმი კომუნისტური დამოკიდებულების ფორმირება, ძმერი და  
მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და სხვ.

ბ. კლასის ხელმძღვანელებმა და მასწავლებლებმა სრულყონ  
კლასგარენე და სკოლისგარენე აღმზრდელობითი მუშაობის ზინა-  
არსი, ფორმები და მეთოდები და დაუჭირმდებაროვ ისინი მოსწავ-  
ლეთა მიერ მეცნიერებათა საფუძვლების დაუფლებას და მათ  
აღზრდას კომუნისტური სულისკვეთებით. ზუსტად გაითვალისწი-  
ნოვ ბავშვთა ინტერესები, თვითმოქმედება, სურვილები და ასა-  
კობრივი თავისებურებანი. განსაკუთრებული მეთვალყურეობა გაუ-  
წიონ იმ ბავშვებს, რომლებსაც უჭირთ საერთო წესებისადმი  
დაჭვემდებარება და გულთბილი დამოკიდებულება გამოიჩინონ  
მათდამი.

გ. სკოლის დირექტორებმა ერთიორად დარაშინოვ სკოლის მე-  
შაჟთა კოლექტივი მოსწავლეთა წორის ცეკვებული დასციპლინის  
განმტკიცებისათვის; მიაღწიონ იმას, რომ ყოველი მასწავლებელი,  
კლასის ხელმძღვანელი საფუძვლიანად იცნობდეს თითოეული ბავ-  
შვის თავისებურებებს, ოჯახურ მდგომარეობასა და გარემო პირო-  
ბებს; გაატარონ ლოისძიებანი, რათა ამ საქმეში აქტიურად ჩაე-  
ბან სასკოლო კომედიურული და პიონერული ორგანიზაციები და  
ფართო საწოვადოებრიობა. თავიდანვე მაილონ გამაურთხილებელი  
ზომები იმ ბავშვთა მიმართ, რომლებიც არ ემორჩილებიან დის-  
ციპლინას.

დ. ეატეგორიულად აიკრძალოს განათლების განყოფილების  
დასტურის გარენე უდისციპლინობის მოტივით ბავშვების გადაყვანა  
ერთი სკოლიდან მეორეში და უდისციპლინობისადმა მიღრეკილე-  
ბის მქონე ბავშვების გამოსწორება პედაგოგური კოლექტივების  
ლირსების საქმედ გადაიქცეს.

ე. კლასისა და სკოლისგარენე აღმზრდელობით მუშაობაში  
აქტიურად იქნებ ჩაბმული კლასგარენე და სკოლისგარენე მუშაო-  
ბის ორგანიზატორები. განათლების სამინისტროს სკოლების სამმარ-  
თველომ სასწავლო წლის დაწყებისათვის სკოლები უზრუნველყოს



მითითებებით ორგანიზატორთა მუშაობის შინაარსის, ფორმის  
და მეთოდების შესახებ.

## ესთომიკური აღზრდა

ა. გატარდეს აუცილებელი ღონისძიებანი, რათა ამ საქმიანობაში მთელი სასკოლო კოლექტივების ერთობლივად ჩაბმით სკოლებში შეიქმნას ერთიანი ესთეტიკური რეჟიმი. ამის შესაბამისად მოწესრიგდეს სკოლის ეზო-გარემო, სასკოლო შენობათა ფასადი, ინტერიერები, დერეფერები, სასკოლო ოთახები. სათანადო ყურადღება მიეცეს მასშავლებელთა და მოსწავლეთა ჩატულობაში სიფაქიზეს და ზომიერების დაცვას.

ბ. სკოლის ხელმძღვანელებმა მხრუნველი დამოკიდებულება გამოიჩინონ და შექმნან პირობები მუსიკისა და ხატვის სწავლების გასაუმჯობესებლად, ხოლო დედაენისა და ლიტერატურის, ისტორიის, გეოგრაფიისა და სხვა საგრძების სწავლებისას ესთეტიკური აღზრდის მიზნით ფართოდ გამოიყენონ სათანადო საპროგრამო მასალები.

გ. მოთავითვე გაიშალოს ფართო მოსამზადებელი მუშაობა იმ მიზნით, რათა მოსწავლეთა მასობრივი მონაწილეობით ჩატარდეს ბავშვთა მხატვრული თვითმოქმედების VI რესპუბლიკურს ოლიმპიადადა და მასში წარმოდგენილი იქნეს ხელოვნების ყველა ძრითადი დარგი—მუსიკა, სიმღერა, ქორეოგრაფია, ფერწერა, ქანდაკება, ხელოვნების გამოუწენებითი დარგები, დეკლამაცია თეატრალური ხელოვნება და სხვ.

დ. მხატვრული აღზრდის რესპუბლიკურმა სამეცნიერო მეთოდურმა კაბინეტმა ქვედანვე მიიღოს საჭირო ზომები რათა სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებანი ოლიმპიადისათვის მხადების პროცესში უზრუნველყოფილი იყვნენ აუცილებელი მითათებებითა და მასალებით, ოპერატიული ხელმძღვანელობითა და დახმარებით.

## ფიზიკური აღზრდა

ა. ფიზიკური აღზრდის დარგში ძირითად ამოცანად იქნეს დასახული კომპლექსური გამაჯანსაღებელი ღონისძიებების განხორციელება, მათში ბავშვთა მასობრივად ჩაბმა, ფიზკულტურის გაფვე-

თილების მაღალ დონეზე ჩატარება, სანიტარულ-ჰიგიენური ოქ-  
უიმის მტკიცებულება და მოხარულთა თავდაცვითი უნარიანობრივი განმტკიცება-გაძლიერება.

ბ. მიღებულ იქნეს საჭირო ზომები, რათა ყველა სკოლაში  
თანდათანობით შეიქმნეს პირობები ფიზიკური აღზრდის პროგრა-  
მით გათვალისწინებული აუცილებელი ვარჯიშების ჩასატარებლად  
სკოლის შენობასა და ეზოში. კატეგორიულად იყრძალოს მოსწავ-  
ლებითა განთავისუფლება ფიზკულტურის გაძვეთილებიდან და იმ  
ბავშვებისათვეს, რომელებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო  
საჭიროებენ საგანგებო მიღობას, ჯგუფური და ინდივიდუალური  
წესით ეწყობოდეს სათანადო ვარჯიშები.

გ. ზუსტად დაწესებულ ვადებში ტარდებოდეს ბავშვთა ღრმა  
და მიმდინარე სამედიცინო შემოქმება, აცრები, სკოლის შიდა სა-  
თავსოების დასუფთავება, საქლასო ოთახების განიავება და სხვა  
აუცილებელი სანიტარულ-ჰიგიენური ლონისძიებანი. სუსტი ჯან-  
მრთელობის ბავშვებს დროულად ეწყოდეს საჭირო დახმარება.

დ. ჯეროვნი ყურადღება მიექცეს სკოლებში მოსწავლეთა  
მიერ საპარტო-ქიმიური თავდაცვის წესების შესწავლა-დაუფლებას  
და სანიტარული მინიმუმის აზრისებას.

ე. განმტკიცებულ კავშირი სკოლებსა და სკოლისგარეშე დაწე-  
სებულებებს შორის და სისტემატურად, ორგანიზებულად ტარ-  
დებოდეს მოსწავლეთა სპორტული შეჯიბრებანი, ლაშქრობები და  
სხვა სახის მასობრივი ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ლონის-  
ძიებანი.

## მშობელთა შორის მუშაობა

ა. სკოლის მუშაკებმა და განათლების განყოფილებებმა მტკი-  
ცედ გაითვალისწინონ, რომ მათთვის სკოლისა და ოჯახის მციდრო,  
საქმიანი თანამშრომლობით შეიძლება წარმატებით გადაიჭრას ის  
დიდი ამოცანები, რაც სკოლას აქვს დაიყისრებული კომუნიზმის  
მშენებელი, მაღალი მორალური თვისებებით აღჭურვილი ახალი  
ადამიანის აღზრდის საქმეში.

ბ. მშობელთა საზოგადოებრიობის ორგანოს—მშობელთა კო-  
მიტეტისა და საერთოდ მშობლებთან მთელი მუშაობა იმგვარად  
წარმართოს, რომ იგი მთლიანად ექვემდებარებოდეს მოსწავლეთა

ცოდნის ხარისხის ამაღლებასა და მათ შორის შეგნებული დისკვიპრის ლინის განმტკიცებას.

გ. სკოლებმა ერთობლივად დარაზმონ მშობლები საიმისოდ, რომ მთო ინიციატივითა და ხელმძღვანელობით სკოლას პრაქტიკულად შეეწყოს ხელი საყოველთაო სავალდებულო განათლების განხორციელებაში, ხელმოკლე ოჯახების ბავშვებისათვის ნივთიერი დახმარების აღმოჩენაში, ბავშვთა უმეთვალყურეობის დაძლევაში, კლისგარეწე და სკოლისგარეწე მუზიკობის ორგანიზებულად მოწყობაში, „მოსწავლეთა წესების“ შესრულებაზე მეთვალყურეობაში, სკოლის სამეურნეო და საწილარული კეთილმოწყობის საქმეში და სხვ.

დ. სკოლებმა სისტემატურად აწარმოონ კვალიფიციური პედაგოგიური პროპაგანდა მცობელთა შორის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის ძირითადი ამოცანების, ბავშვთა აღზრდისა და განათლების წინაარსის, ფორმებისა და მეთოდების წესახებ; მიაღწიონ იმას, რომ ბავშვების აღზრდის საქმეზი მთო მოვალეობის წესახებ მშობლები კონკრეტულ რჩევა-დარიგებას იღებდნენ.

### მადლენის მინიჭება

ა. დაწესდეს, რომ 1967-1968 სასწავლო წლის ბოლოს მასობრივმა და თავადმოს საშუალო სკოლებმა მედალზე დასაჯილდოებლად წეიძლება წარმოადგიონ X (XI) კლასების მხოლოდ ის მოსწავლენი, რომლებიც: IX (X) კლასში სწავლის, შრომისა და ყოფაქცევის მხრივ მოწინავეებად ითვლებოდნენ: X (XI) კლასებში სანიმურონი არიან სწავლაი, ზრომასა და ყოფაქცევაში და ყოველი მეოთხედის ბოლოს ყველა ძირითად საგანი მხოლოდ მაღალი შეფასება აქვთ; სასწავლო წლის პირველ და მეორე ნახევარში განათლების განყოფილებათა მიერ დედაქანასა და მათემატიკაში ზედამხედლებულობის წესით ჩატარებულ საკონტროლო წერით ნამუშევრებში მიიღებენ წეფასებას არააკლებ „4“-ისა და „5“-ისა, ყველა საგანი წარმატებით ჩატარებენ საშუალო განათლების ატესტატის მისაღებ გამოცდებს; მონაწილეობას მიიღებენ მათემატიკური ან ლიტერატურული ოლრმპიადის დასკვნის ტურში და დაჯილდოვდებან პირველი, მეორე ან მესამე ხარისხის დიპლომით.

ბ. ერთი სკოლიდან სხვა სკოლის დამამთავრებელ X (XII) გიმნაზია  
კლასში გადასული მოსწავლე კარგავს მედლის მიღების უფლებას;  
მედლებს ვერ მიიღებენ აგრეთვე ის მოსწავლენიც, რომლებიც  
თავს აარიდებენ განათლების განყოფილებების მიერ ჩატარებულ  
საკონტროლო წერებს და მონაწილეობას ვერ მიიღებენ ოლიმპია-  
დების დასკვნით ტურში. ოლიმპიადების დამატებითი ტურები არ  
მოეწყობა.

გ. დაევალოს განათლების სამინისტროს სამხაროველოთა  
უფროსებს დ. ჯავახიას, რ. კანდელაკს, ვ. ჩინჩალაძეს შეიმუშაონ  
კონკრეტული მითითებანი განათლების განყოფილებათა მიერ ჩასა-  
ტარებელი საკონტროლო წერითი სამეცნიერო და ოლიმპიადების  
მოწყობის ორგანიზაციის შესახებ და სასწავლო წლის დასაწყის-  
შივე უზრუნველყონ, რომ მათ ყველა სკოლა იცნობდეს.

დ. განათლების განყოფილებებმა და საშუალო სკოლის დი-  
რექტორებმა ზუსტად განუმარტონ პედაგოგებს, მოსწავლეებს,  
მწობლებს და ფართო საზოგადოებრიობას მედლების მინიჭების  
ეს წესი.

\* \* \*

კოლეგიის დადგენილების საფუძველზე საქართველოს სსრ  
განათლების სამინისტრომ გამოსცა ბრძანება, რომ კოლეგიის 1967  
წლის 21 აგვისტოს დადგენილება სასწავლო წლის დაწყებისთანავე  
გულდასმით იქნეს განხილული ყველა სკოლაში და საფუძვლიდ  
დაედოს სასწავლო-საადმისტრდელო მეშაობას. ამ ბრძანების საფუ-  
ძველზე განათლების განყოფილებებმა სათანადო ღონისძიებანი გა-  
ნახორციელონ სკოლებში, ხოლო განათლების სამინისტროს სკო-  
ლების, მუშა და სოფლის ახალგაზრდობის და დაუსწრებელი სწავ-  
ლებისა და სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამხარ-  
ოველოებმა სისტემატურად წეამოწმონ დადგენილების შესრულე-  
ბის მიმღინარეობა და წედებები წარმოადგინონ განათლების სამი-  
ნისტროს კოლეგიაზე განხილველად.

ბრძანებაზი აღნიშნულია, რომ სკოლის წინაშე დასახული  
ამოცანების წარმატებით გადაჭრა პირველ რიგში დამოკიდებულია  
ჩვენს სახალხო მასწავლებლებზე, საქმისაღმი მათ ინტერესზე და  
მათდამი ყოველდღიურ ზრუნვაზე, იმაზე, თუ როგორ პირობებს  
შევემნით, რათა მასწავლებლობის მეცნიერული მომხალების დონე  
და პედაგოგიური ოსტატობა მასობრივდ ამაღლდეს. იმასთან

სკოლის მუშაობის არსებითად გაუმჯობესება შეუძლებელია შორის-ნავეთა გამოცდილების ფართოლ დანერგვის და სკოლაში შრომის მტკიცე დისციპლინისა და ერთიანი, მკვიდრი რეჟიმის დამყარების გარეშე.

ბრძანება ავალებს განათლების აღგილობრივ ხელმძღვანელორგანულებს, სკოლის დირექტორებს და მათ მოაღილებებს, განათლების სამინისტროს სამხართველო-განყოფილებებს ყოველდღიურად იზრუნონ მასწავლებელთა საჭიროებებზე, გაუწიონ მათ მორალური მარატაშერა, მოწყონ სუსტი მასწავლებლები სხვა შესაფერ სამუშაოზე და სისტემატურად განახორციელონ ლონისძიებანი მოწინავეთა გამოცდილების განზოგადებისა და პედაგოგიური შრომის სწორად და უნარიანად წარმართვისათვის.

\* \* \*

ახალი, 1967-1968 სასწავლო წელი განსაკუთრებულია, საიუბილეოა. სკოლებმა, მასწავლებლებმა და სახალხო განათლების ყველა მუშაქმა საბჭოთა ხელისუფლების ნახევარ-საუკუნოეან იუბილეს ახალი, დიდი წარმატებებით უნდა უპასუხონ მოზარდითაობის, ახალი ადამიანის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ, საპატიო საქმეში.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და განა-  
 თლების სამინისტრომ 1967 წ. 11 აგვისტოს  
 ბრძანება № 960—465/მ

1967 წლის 03 დეკემბერი

მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის შემდგომი გაუმჯობესების  
 ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვისა და საქართვე-  
 ლოს სსრ განათლების სამინისტროები აღნიშნავენ, რომ ზემდგომი  
 ორგანოების დადგენილება — საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო  
 სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შე-  
 სახებ, მოხარდი თაობის სწავლა-აღზრდისა და ჯანმრთელობის  
 გაუმჯობესების მიზნით დიდ ამოცანებს სახაეს.

უკანასკნელ წლებში ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების  
 მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად მნიშვნელოვნად გაუმ-  
 ჯობესდა მოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვა და მათი ფიზიკური  
 განვითარების მაჩვენებლები. მცირდება მოსწავლეთა დაავალება-  
 ნობა. ამასთან ერთად გაიზარდა არამოავადე მოსწავლეების რაო-  
 დენობა. თუ 1959 წელს ყოველ ას მოსწავლეზე მოდიოდა 29,  
 1966 წელს მოდის 55 არამოავადე მოსწავლე.

მნიშვნელოვანი ცვლილებები მობდა დაავადებათა სტრუქ-  
 ტურაში. 6,1%-დან 1,6%-მდე შემცირდა ინფექციურ დაავადება-  
 თა ხელდროითი წონა. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა აგ-  
 რეთვე მოსწავლეთა მიერ ავადმყოფობის გამო გაცდენილ დღეთა  
 ჭაოდენობა. შესწავლის მოსწავლეთა 84% საშუალო და საშუა-



ლოზე მაღალი ფიზიკური განვითარებისაა, 13% მაღალი მხოლოდ 3%-ა დაბალი ფიზიკური განვითარებისა.

მიუხედავად ზემოაღნიშვნული წარმატებებისა, ზოგადსაგან-მანათლებლო სკოლების შოსწავლეთა ჯანმრთელობის დაცვის საქ-მეში კვლავ აქვს ადგილი ნაკლოვანებებს. ჯერ კიდევ არ არის აღვეთილი მოსწავლეთა ზედმეტი დატვირთვა საგალდებულო სას-წავლო მეცადინეობათ და სხვა დავალებებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე.

სასკოლო ფარაობას სამათ რაოდენობისა და მთელი რაგი სკოლების შენობათა უვარგისობის გამო, ბევრგან მეცადინეობა ორ, ხოლო ზოგჯერ სამ ცვლად მამდინარეობს. არა-დამაკმაყოფილებლად სრულდება საქართველოს სსრ ჯანმრთელო-ბის დაცვის სამინისტროს 1963 წლის 21 ივნისის № 535/ო, 1964 წლის 28 ნოემბრის № 366/ო და საქართველოს სსრ განათ-ლებისა და საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტ-როების 1966 წლის 8 აგვისტოს № Կ01—517/ო ერთობლივი ბრძანებები. მრავალ სკოლაში საკლასო ოთახები არ არის უზრუნ-ველყოფალი შესაუერისი განათებით, არ ხდება საქლასო ოთახე-ბის განიავება გადავეთილებსა და ცვლებს შორის.

სასკოლო ინვენტარის ერთი ნაწილი უხარისხო და არა სტან-დარტულია. ჯერ კიდევ ხშირად მოსწავლეები სხედავ მათი ასა-კისა და ფიზიკური განვითარებისათვის შეუფერებელ მერჩებებს, რაც იწვევს ხერხემლის გამრუდებასა და გულმერლის დეფორმა-ციას; ამავე დროს ასეთი ფიზიკური დეფექტების მქონე მოსწავ-ლეთა გასაჯანსაღებლად სამკურნალო დაწესებულებები ნაკლებად ზრუნავენ. სკოლებსა და პოლიკლინიკებში მათთვის არ არის შექმ-ნილი სათანადო კაბინეტები და არ ტარდება მაკორეგირებელი ვარჯიშებია.

დაწესებულ ვადებში არ წარმოებს მოსწავლეთა ღრმა სამე-დიცინო შემოწმება, ხოლო ზოგჯერ იგი უხარისხოდ ტარდება. უგცლებელყოფილია მოსწავლეთა სისხლის წნევის გასინჯვა. მო-წესრიგებული არ არის მოსწავლეთა დაყოფა სამედიცინო ჯგუფე-ბად; ბავშვებსა და მოზარდებში დაბალ დონეზე ტარდება სამკურ-ნალო პროფილაქტიკური და გამავანსაღებელი მუშაობა: არ ხდე-ბა ყველა დაავადებული ან ჯანმრთელობის მხრივ გადახრის მქონე ბავშვების გამოვლენა და მათი დისპანსერიზაცია; მოუწესრიგებუ-

ლია სანიტარული და სხვა გამაჯანსაღებელი დაწესებულებების  
საგზურების მოსწავლეთა შორის განაწილების საქმე.

სკოლები არ არის დაკომპლექტებული ჯვალიფიციური სამე-  
დიცინო კადრებით. რაიონების უმრავლესობაში სკოლის ექიმის  
თანამდებობა შეთავსებითაა დაკავებული, ხოლო ზოგჯერ ეს ად-  
გილი შეუფერებელი სპეციალობის მქონე პირებს უჟავიათ. სანი-  
ტარული და სკოლის ექიმები ნაკლებ ყურადღების უთმობენ სკო-  
ლის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გულდასმით შესწავლას  
და მოსწავლეთა დღის რეაქტის სწორად ორგანიზებას.

რესპუბლიკის სკოლების უმრავლესობაში მოსწავლეები არ არი-  
ან უზრუნველყოფილი ცხელი საუზმით და სადილებით. ბუფეტების  
გარკვეული ნაწილი ჯერ კიდევ შეუცემებელ სათავსოებშია მო-  
თავსებული; არ არის დანერგილი კედის „ტალონური“ სისტემა,  
რესპუბლიკის არც ერთ სკოლაში მრავალშვილიან, უდედმამო და  
ხელმოქლე ჯვახის შეიღებს არ ეძლევათ საუზმე უფასოდ. რეს-  
პუბლიკის ბევრ სკოლაში საექიმო პერსონალისათვის არ არის შე-  
ქმნილი საჭირო პირობები.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ჯანმრთე-  
ლობის დაცვა-გაუმჯობესების შესახებ საბჭოთა კავშირის კომუ-  
ნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის  
მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილების შესა-  
ბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ თ

1. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ ჯანმრთელობის დაცვისა და  
განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა  
და რაიონების ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების განყოფი-  
ლებათა გამგებებმა:—განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მოს-  
წავლეთა სამედიცინო მომსახურების საქმეს, ღრმა სამედიცინო  
შემოწმების ხარისხიად ჩატარებას, სკოლების სანიტარულ-ჰიგი-  
ენური მდგომარეობის გულდასმით შესწავლას და მათ დაკომპლექ-  
ტებას სამედიცინო კადრებით არსებული ნორმატივების მიხედვით.

უზრუნველყონ საქართველოს სსრ განათლების და საქართვე-  
ლოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების 1966 წლის 8  
აგვისტოს № 901—517 ერთობლივი ბრძანების ზუსტად შესრუ-  
ლება;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ პირველი კლასისა და  
საერთოდ სასკოლო ასაკის ბავშვთა ღრმა სამედიცინო შემოწმების  
ხარისხს, სასწავლო წლის დაწყების წინ ჩატარონ მოსამზადებელი

სამუშაოები სკოლის საექიმო და საშუალო სამედიცინო პერსონალი გამოყოფილი არის თან, გამოყონ ბავშვთა პოლიკლინიკებიდან სათანადო სპეციალურობის ტები და უზრუნველყონ საექიმო შემოწმებით გამოვლინებულ ავალმუოთ ბავშვთა სამედიცინო მომსახურება;

საჭირო დაბმარება აღმოცხინონ სამედიცინო პერსონალს მოსწავლეთა ღრმა სამედიცინო შემოწმების ჩატარებაში, ამ მიზნით მათთან შეთანხმებით გამოყონ სპეციალური დღეები;

სკოლის ხელმძღვანელებმა და ექიმებმა მოსწავლეთა მერხებზე გარღვება მოახდინონ მოსწავლეთა ფიზიკური განვითარების, სმენისა და მხედველობის მდგომარეობის გათვალისწინებით;

არ დაუშვან სკოლის ექიმებად განაწილებულ პირთა სხვა დანიშნულებით გამოყენება და არაშესაფერისი სპეციალობის ექიმებას შეთავსებით მუშაობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში;

1967 წლის ბოლომდე უზრუნველყონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების სანიტარული მდგომარეობის, ფიზიკური აღზრდის, ჰიგიენური და სამცურნალო პროფილაქტიკური მცშაობის შემოწმება, შეიმუშაონ ღონისძიებათა კონკრეტული გეგმა მოსწავლეთა ჯამრთელობის დაცვის, სკოლების სანიტარულ-ჰიგიენური პირობებისა და რეჟიმის გაუმჯობესებას საკითხებზე;

დააწესოთ გონიტროლი სკოლებში სასწავლო ჰიგიენური რეჟიმის სწორად ორგანიზებაშე, კერძოდ, სხვადასხვა კლასებში მოსწავლეთა სასწავლო საკირაო დატვირთვასა და კლასების ზღვრულ დასაშვებ შეესებაშე;

არ დაუშვან მოსწავლეთა და მასწავლებლთა მოცდენა ისეთი სამუშაოებით, რომელიც არის დაქავშირებული სწავლების პროცესთა;

განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ სანიტარული წესების, მოსწავლეთა სასწავლო მცშაობისა და საყოუაცხოვრებო პირობების დაცვის საქმეს, ფართოდ ჩააბან ამ საქმეში მშობელთა კომატეტება, პროცედურული, კომეტაციული და წითელი ჯვრის ორგანიზაციება.

2. დაევალოს სანიტარიისა და ჰიგიენის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის (დირექტორი ლ. ზ. გომელაური) სასკოლო ჰიგიენის განათლებას განახორციელოს მეთოდური ხელმძღვანელობა სკოლის ექიმებთან მუშაობაზე.

3. განათლების სამინისტროს ფიზიკური აღზრდისა და სპორ-



ტის განკოუილებამ (ამჩ. ი. ბაცელაშვილი), რესპუბლიკის ჯანდაცვის ცენტრული სამინისტროს მთავარმა სპეციალისტმა საექიმო ფიზიკულტურული რიზ-რიზის დარგში (ამჩ. რ. სევანიშვილი) და რესპუბლიკური საექიმო ფიზიკულტურის დისპანსერის მთ. ექიმმა (ამჩ. კ. ს. არობელიძე) მეთოდური ხელმძღვანელობა გაუწიონ მოსწავლეთა ფიზიკური ღრმული დის სწორად ორგანიზებას სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის 1-66 წლის 9 ნოემბრის № 826 ბრძანების („მოსახლეობის სამკურნალო ფიზიკური კულტურის და საექიმო კონტროლის საკითხების შემდგომი განვითარების შესახებ“) შესაბამისად, ხოლო საექიმო ფიზიკური კულტურისა და დისპანსერების მთავარმა ექიმებმა უზრუნველყონ ამ ხაზით კონკრეტული ღონისძიებების გატარება.

4. სამედიცინო მეცნიერებისა და სასწავლო დაწესებულებათა მთავარმა სამმართველომ (უფროსი პროც. ნ. რ. შაშიკაშვილი) 1968 წლიდან საშუალო სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრალური სკოლის საშუალებით უზრუნველყოს სკოლის საშუალო სამედიცინო პერსონალის სპეციალიზაცია და კვალიფიკაციის ამაღლება—„ზოგადსაგარმანათლებლო საშუალო სკოლის სამედიცინო დის“ პროგრამით.

5. დედათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფესიული დაწმოების სამმართველომ (უფროსი ლ. კ. ირგმაძე):

სანიტარიისა და ჰიგიენის საკვლევო-სამეცნიერო ინსტიტუტის სკოლის ჰიგიენის განკოუილებასთან და რესპუბლიკის საექიმო ფიზიკური კულტურის მთავარ სპეციალისტთან (რ. ა. სევანიშვილი) მიმდინარე წლის აგვისტოში უზრუნველყოს სკოლის ექიმებსა და საშუალო სამედიცინო პერსონალთან მოკლევადიანი სემინარების ჩატარება მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების და სამკურნალო ფიზიკულტურის საკითხებზე; პროგრამა დაეგზავნოს რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების ჯანგარუფილებების ხელმძღვანელებს ადგილებზე ანალოგიური სემინარების ჩატარების მიზნით;

მიიღოს ზომები საბაზო სკოლების გამოყოფისა და მათი სამგალითოდ მოწყობის მიზნით და ფართოდ გამოიყენოს ეს სკოლები ექიმებარ და საშუალო სამედიცინო პერსონალთან მეცნიერებების ჩასატარებლად; ამასთანავე გაითვალისწინოს მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურებაში მურმანსკის ოლქის გამოცდილების უართოდ დანერგვა.



6. ეთნოგოს რესპუბლიკური და ქ. თბილისის პედიატრიული კლინიკის  
საზოგადოების თავმჯდომარებელს პროფ. მ. ს. ბოკერიას და პროფ. გ. ა.  
გ. ა. თონაძეს სისტემატურად განიხილონ საზოგადოების სხდომებ-  
ზე მოსწავლეთა სამედიცინო მომსახურების საკითხები, მიიღონ  
ზომები სკოლის ექიმების კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლებისა-  
ოვის, უზრუნველყოფა ისინი კვალიფიციური კონსულტაციებით.

7. სანიტარულ-ეპიდემიოლოგიურმა სამმართველომ (ვ. ა. ბა-  
დაშვილი) და დელათა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტი-  
კური დახმარების სამმართველომ (ლ. კ. ირემაძე) 1967 წლის IV  
კვარტალში შერჩევით შეამოწმონ რესპუბლიკური დაქვემდებარე-  
ბის ქალაქებისა და მსხვილი რაიონების სანეპიდსაფგურებისა და  
ადგილობრივი ჯანდაცვის ორგანოების მიერ სკოლებში სანიტა-  
რულ-ჰიგიენური რეფილის და მოსწავლეთა სამედიცინო მომსახუ-  
რების გასაუმჯობესებლად ჩატარებული მუშაობა.

8. აღნიშნული ბრძანების შესრულების მიმღინარეობის შესა-  
ხებ მოხსენებითი ბარათი წარდგენილ იქნეს საქართველოს სსრ  
ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სამინისტროების შესა-  
ბამის სამმართველოებში ყოველი წლის 1 მარტისათვის.

9. აღნიშნული ბრძანების შესრულების კონტროლი დაევა-  
ლოს სანეპიდსამმართველოს უფროსს ამბ. ვ. ა. ბადაშვილს, დედა-  
თა და ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების სამ-  
მართველოს უფროსს ამბ. ლ. კ. ირემაძეს და განათლების სამი-  
ნისტროს სკოლების სამმართველოს უფროსს ამბ. დ. ჯავახიას.

საქართველოს სსრ ჯანმრთე-  
ლობის დაცვის მინისტრი  
ლ. ხავარელიძე

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე  
უ. ობოლაძე

8/VIII - 67 ప్రేషణ  
9/521

ప ० మ ५ ० ప २ ६  
సాహిత్యశాసన ససర గానాతల్లెబిల్  
థినిసిట్రిస మందగిల్లె  
ప్రై. నంబిల్లాప్రె  
12 ఎంపిక, 1967 ప్రేషణ

## మిటిటి విధానం

ప్రపంచాండ్రాల్స్ డా గాసాఫ్సాస్ ఆసాకస్ ఆకుల్స్ కుంటాండ్రాల్స్  
శ్రీవిష్ణువురు శ్రీసాఖేద

1. ప్రేషణమధ్యాల్సి డా గాసాప్రేషణి ఆసాకసి ఆకుల్గాథీర్లంబిల్ ల్యాప్-  
ల్లెబా ప్రీప్రోబా ప్రీరా-క్రిటిక్సిల్ ఉప్రాండినార్మి, ప్రొర్మెప్రోఫర్ డా ర్స్-  
స్టుల్లో ఏన్సిల్ అమ్ప్రాండ్రెంటాత్విల్ అం స్ట్రెస్త్రూం ప్రోఫర్స్తాత్విల్.

2. ప్రీప్రోబాశీ కొసామ్పెల్సి 14—17 ప్రీల్సి ప్రేషణమధ్యాల్సి ఆకుల్-  
గాథీర్లంబిల్ అంరిప్రోబా 25 ఎంపిక్రమిల్ ఆర్టార్క్యూబ్ రొంపొన్సిల్ (ప్రొల్-  
గ్జిల్) సాకుల్కో గానాతల్లెబిల్ గాన్ప్రాంప్రోబా సామ్పెద్రిల్ క్రమిలొసారొంట్-  
తాం ప్రొతాం, కొల్లం గాసాప్రేషణి ఆసాకసి ఆకుల్గాథీర్లంబిల్ కొ అంరిప్-  
బోబ్ రొంపొన్సిల్ (ప్రొల్గ్జిల్) సామ్పెద్రిల్ క్రమిలొసారొంత్, రొమ్మెల్సిప్ తిం-  
గొల్లాం అం క్రమిలొసారొంత్ సొస ప్రోబ్బ్రోబ్బ్ సాకుల్కో గానాతల్లెబిల్  
గాన్ప్రాంప్రోబా 25 ఎంపిక్రమిల్ కొల్లం సాంబొలొండ డాశ్ర్షస్త్రోబ్బుల్  
సొస—ింక్రాబిల్ డంపొల్సి (మిష్యేరిల్ డామ్మావ్రోబిల్ శ్రేమిల్).

**శీంచ్రా:** ప్రీరా-క్రిటిక్సిల్ ఉప్రాండినార్మి క్రీబ్బ్ ర్స్పెంథ్లిప్-  
శీ అంస్కెబితాం మత్తొలించాం లొక్కుప్రాండిర్క్రెబ్బుల్లిం, మాగ్రామ ఇం శ్రేమిత్క్షే-  
గాశీ, త్తు ప్రేషణమధ్యాల్సి డా గాసాప్రేషణి ఆసాకసి ఆకుల్గాథీర్లంబిల్ శ్రీ-  
ంబిల్ గామ్మోల్సిన్ఫ్రోబా ప్రీరా-క్రిటిక్సిల్ త్తుండ్రాం ప్రోబ్బుల్లిం, గా-  
నాతల్లెబిల్ గాన్ప్రాంప్రోబా డాశ్ర్షస్త్రోబ్బుల్లిం అంబిల్ మాస ప్రీప్రోబిల్ శీ డా  
అమిల్ శ్రేసాంబ్ అప్రోబోబిల్ సాహిత్యశాసన ససర గానాతల్లెబిల్ సామి-  
నిసిట్రిస.

3. ప్రీరా-క్రిటిక్సిల్ ఉప్రాండినార్మి, ప్రొర్మెప్రోఫర్ డా ర్స్-స్టుల్లో  
ఏన్సిల్ అంమ్ప్రాండ్రె గాసాప్రేషణి ఆసాకసి ఆకుల్గాథీర్లంబిల్, రొమ్మెల్సిప్ గా-  
మ్మోల్సిన్ఫ్రోబ్బుల్లిం ప్రీప్రోబిల్ ఇంక్రెబిల్ శీ, మిష్యేరిల్ త్తెరొండ్రోబిల్, ప్రీప్రోబిల్



ში დაუყოვნებლივ უნდა იქნენ ჩაბმულნი. მათთან მეცაღილეობულია ეწყობა იმ ფარაულით, რომ გაწვევამდე მოესწროს პროგრამული მასალის მთლიანად ათვისება.

4. განათლების ადგილობრივი ორგანოების აღრიცხავენ 4-დან 8 კლასამდე განათლების არქიტექტურულ, წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების რაოდენობას და იღებენ ყოველგვარ ზომას ზოგადსაგანმანათლებლო მუშა და სოფულის ახალგაზრდობის ან დაუსწრებელი საშუალო სკოლების შესაფერის კლასებში მათ ჩასაბმელად.

5. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება 25 აგვისტომდე აყალიბებს ჯაჭუფებს და გამოყოფს მათთვის მასწავლებლებს, რომელთაც ამარავებს სასწავლო გეგმებით, პროგრამებით, სახელმძღვანელოებით, მეთოდური მითითებებითა და თვალსაჩინო მასალებით.

**შენიშვნა:** იმ ადგილებში, სადაც ჯგუფების შექმნა ქსნტინ-გერტის სიმცირის გამო, შეუძლებელია, მეცაღინეობა ეწყობა ინდივიდუალური სწავლების წესით.

6. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება ადგილობრივ ორგანოებთან ერთად გადამჭრელ ზომებს ღებულობს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სახელმძღვანელოებით, საჭირო სასწავლო ნივთებით, სამედიცინო ბინით, ინკუნტარით და გათბობა-განათებით უზრუნველსაყოფად.

7. რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება პერიოდულად იმოწმებს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლების მიმღინარეობას და იღებს გადამჭრელ ზომებს შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

8. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობის სწავლება იწყება 1-ელ სექტემბერს.

9. სასწავლო წელი გრძელდება 9 თვეს (1-ლი სექტემბრიდან 1-ელ ივნისამდე) გამოსაშვები გამოცდებისათვის საჭირო დროის ჩათვლით.

სასწავლო წელი იყოფა ორ ნახევარწლად: პირველი ნახევარი 1/IX-დან 31/X-მდე (შეიცავს 17 სასწავლო კვირას), მეორე 1/1-დან 1/VII-მდე (შეიცავს 20 სასწავლო კვირას).

10. სასწავლო გეგმით წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ სას-

წავლო წლის განმავლობაში გაოვალისწინებულია 330 საათი, აქედან კუთხით დან მშობლიურ ენას ეთმობა 200, ხოლო არითმეტიკას—130 უცავლობაში არია, წერა-კითხვის მცირემცოდნეთა სწავლებისათვის სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია 300 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 145, არითმეტიკას—125, გეოგრაფიას—60 საათი.

**შენიშვნა:** წერა-კითხების უცოდინარი და მცირემცოდნე წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც არ იციან რუსული ენა, გარდა მათ პარაგრაფში აღნიშვნული სავრცებისა, სწავლობენ რუსულ ენას, რომელსაც დამატებით ეთმობა 120 საათი.

11. რუსული ენის არამცოდნე ან სუსტადმცოდნე არარუსი წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები სწავლობენ მხოლოდ რუსულ ენას, რომელსაც ეთმობა 250 საათი.

12. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების ჯგუფები ყალიბდება 10—15 კაცის რაოდენობით.

**შენიშვნა:** ა) აღგილობრივი პირობების შესაბამისად, განათლების განკოუილებებს, გამონაკლის შემთხვევაში, უფლება ეძლევათ წვევამდელთა შორის მცირემცოდნეობის ლიკვიდაციისათვის ასიგურებული თანხების ფარგლებში აწარმოონ მასწავლებელთა შრომის ანაზღაურება ჯგუფში მსმენელთა უფრო ნაკლებ—7 9 კაცის რაოდენობაზე;

ბ) სადაც აღგილობრივი პირობების ან ქონტინგენტის სიმირის გამო შეუძლებელია ჯგუფის ჩამოყალიბება, მეცადინეობა იწარმოებს ინდივიდუალური სწავლების წესით;

გ) მასწავლებლებს შრომის ხელფასი უნაზღაურდებათ ზემდგომი ორგანოების დაღვენილებისა და განკარგულების შესაბამისად;

დ) წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, თუ ისინი ერთანარი პროგრამით მეშაობენ, უნდა გაერთიანდნენ ერთ და იმავე ჯგუფში.

13. წერა-კითხვის ერთეული უცოდინარები და მცირემცოდნეთა ჯგუფები მეცადინეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 თებერვალს დამტკიცებული პროგრამებით, ხოლო რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფები—რსუსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროგრამით.

14. წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდების სწავლებისათვის გამოყენება დაწყებითი კლასების ის სახელმძღვანელოები, რომლებიც შეესაბამება სათანადო საგნის პროგრამას, ხოლო რუსული ენის შემსწავლელ ახალგაზრდებისათვის პროფესორ სოვეტებინის რუსული ენის სახელმძღვანელო.

15. სკოლის დირექტორები ვალდებული არიან:

ა) წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდობას 31 აგვისტომდე აცნობონ მეცადინეობის ადგილი და დრო;

ბ) დაესწრონ მსმენელთა მეცადინეობას მასწავლებელთა მუშაობაზე საჭირო კონტროლისა და მეთოდური დანართების განხორციელების მაჩნით;

გ) მსმენელთა მიერ მეცადინეობის არასაპატიო მიზეზით გაცდენის აღმოსავანერელად მაილონ სათანადო ზომები.

16. პროგრამათ გათვალისწინებული კურსას დამთავრების შემდეგ 24 მაისიდან 31 მაისმდე ტარდება გამოცდები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1964 წლის 16 დეკემბერს დამტკიცებული ინსტრუქციით „წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ“—საფუძველზე (იხილეთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა ქრებული № 9—10, 1964 წელი).

**შენიშვნა:** წერა-კითხვის უცოდინარები და მცირემცოდნები, რომლებიც აგრეთვე რუსულ ენას სწავლობენ, გამოცდას აბარებენ ამ საგანშიც (წერითსა და ზეპირს).

17. რუსული ენის შემსწავლელი წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები გამოცდას აბარებენ მათლოდ რუსულ წერაში (წერითსა და ზეპირს).

18. პროგრამული მასალის ათვისებისა და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ მსმენელებზე გაიცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო ნიმუშის ცნობა (იხილეთ ზემო-აღნიშული ქრებული № 9—10, 1964 წ.).

აუგანახებისა და აქარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამსახურების ავტომაური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები საქართველოს სსრ გა-



ნათლების სამინისტროს ყოველი წლის 15 თებერვალს და 15 ივნისს კუთხეობის  
უდგენერაციული ანგარიშს წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდა-  
ბის სწავლების მიმღინარეობისა და შედეგების შესახებ, საქართ-  
ველოს სსრ განათლების სამინისტროს კითხვარის მიხედვით.

**დანართი:** სასწავლო გეგმა.

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების  
სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

სასწავლო გეგმა

წერა-კითხვის უცოდინარი, მცორემცოდნე და რუსული ენის არმცოდნე ან სუსტადმცოდნე  
წვევამცადელი და გახაწვევი ასაკის ახალგაზრდობას-თვეს (1967—1968 სასწავლო წელი)

ჯგუფი	საგანი	კვარცული საათ. რაოდენ.		წლიური საათების რაოდენობა
		I ნახევარი წელი	II ნახევარი წელი	
1 წერა-კითხვის უცოდინარი	1. მშობლიური ენა	6	5	200
	2. არითმეტიკა	3	4	130
სულ				330
2 მცორემცოდნე	1. მშობლიური ენა	5	3	145
	2. არითმეტიკა	4	3	125
სულ				60
3 რუსული ენის შემსწავლელი	4. რუსული ენა	7	7	120
	სულ			450
	1. რუსული ენა	7	7	250

**შენიშვნა:** 1. წერა-კითხვის უცოდინარი და მცირემცოდნე  
წვევამდელი და გასაწვევი ასაკის ახალგაზრდები, რომლებმაც შემუშავების  
იციან რუსული ენა, სწავლობენ რუსულ ენას, რასაც ეთმობა  
კვირეული 3 საათი, წლიური 120 საათი.

2. სწავლების ვადა 9 თვეა. ჯგუფური მეცადინეობა ტარ-  
დება კვირაში სამ დღეს, სამი საათის ხანგრძლიობით.

3. ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია საპროგრა-  
მო მასალის გავლას დაეთმოს უფრო მცირე დრო.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების  
სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

8/VIII—67 წელი  
№ 9/522

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ  
საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე  
უშ. ობოლაძე  
12 აგვისტო, 1967 წელი

## ა ი თ ი თ ე ბ ა ნ ი

ფიჩა-კითხვის უცოდინარი და მცირებულებები  
მოზღვილი მოსახლეობის ხაზე განვითარების

1. 16—49 წლის ასაკის წერა-კითხვის უცოდინარი და მცირებულებები მოხსრდილი მოსახლეობის აღრიცხვის ზოგადსაგანმანათლებლო დაწყებითი, რაც წლიანი და საშუალო სკოლების მუშაქთა საშუალებით კარია-კარ შემოვლით, პირადი გასაუბრების საფუძველზე ატარებს რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილება. გამოვლინებულ ერთეულ უცოდინარებსა და მცირებულდნეთა სიებს, საბოლოო დაზუსტების მიზნით, უდარებს სასოფლო საბჭოში არსებულ საკომის წიგნებს.

2. წერა-კითხვის უცოდინარობა ჩვენს რესპუბლიკაში არსებითად მთლიანად ლიკვიდირებულია, მაგრამ იმ შემთხვევებში, თუ მოზრდილ მოსახლეობაში გამოვლინდება წერა-კითხვის თუნდაც ერთი უცოდინარი, განათლების განყოფილება დაუყოვნებლივ აბამს მას სწავლებაში და ამის შესახებ აცნობებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

3. განათლების განყოფილება 25 აგვისტომდე აყალიბებს წერა-კითხვის მცირებულდნეთა ჯგუფებს და მათვის, აგრეთვე ერთეული უცოდინარებისათვის, გამოეოუს სათანადო ცენტრისა და პედაგოგიური გამოცდილების მქონე მასწავლებლებს. იმ აღვილებში, სადაც ჯგუფების შექმნა კონტინგენტის სიმცირის გამო, შეუ-



ძლებელი ხდება, მეცადინეობა ეწყობა ინდივიდუალური სწავლების განვითარების შესით.

4. წერა-კითხვის უცოდინარებთან და მცირემცოდნებთან სწავლება იწყება 1-ელ სექტემბერს. სასწავლო წელი გრძელდება 9 თვეს, 1-ლი სექტემბრიდან 1-ელ ივნისამდე გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდებისათვის საჭირო დროის ჩათვლით.

**შენიშვნა:** ინდივიდუალური სწავლებისას შესაძლებელია საპროგრამო მასალის გავლას დაეთმოს უფრო მცირე დრო.

5. სასწავლო წელი იყოფა ორ ნახევარწლად: პირველი ნახევარი 1/IX-დან 31/XII-მდე (შეიცავს 17 სასწავლო კვირას), მეორე 1/I-დან 1/VI-მდე (შეიცავს 20 სასწავლო კვირას).

6. სასწავლო გეგმით წერა-კითხვის უცოდინართა სწავლებისათვის წლის მანძილზე გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 200, არითმეტიკას 130 საათი.

7. სასწავლო გეგმით მცირემცოდნებთა სწავლებისათვის გათვალისწინებულია 330 საათი, აქედან მშობლიურ ენას ეთმობა 145 საათი, არითმეტიკას—125, გეოგრაფიას—60.

8. წერა-კითხვის მცირემცოდნე ჯგუფები ყალიბდება 10—15 კაცის რაოდენობით.

9. წერა-კითხვის ერთეული უცოდინარები და მცირემცოდნება ჯგუფები მეცადინეობენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1963 წლის 8 ოქტომბრის დამტკიცებული პროგრამებით და სასწავლო გეგმებით.

10. სკოლის დირექტორები ვალდებული არიან:

ა) წერა-კითხვის უცოდინარ და მცირემცოდნე, მოქალაქეებს 31 აგვისტომდე აცნობონ მეცადინეობის ადგილი და დრო;

ბ) დაესწრონ მსმენელთა მეცადინეობას და გაუწიონ საჭირო მეთოდური დახმარება მასწავლებლებს;

გ) მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენის წინააღმდეგ მიიღონ სათანადო ზომები;

პროგრამით გათვალისწინებული კურსის დამთავრების შემდეგ 24 მაისიდან 31 მაისამდე ტარდება გამოცდები საქართველოს



სსრ განათლების სამინისტროს მიერ 1964 წლის 16 დეკემბერის დამტკიცებული ინსტრუქციის „წერა-კითხვის უცოდინარ და მცირე-მცოდნე მოქალაქეთა გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების ჩატარების შესახებ“—საფუძველი (იხ. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული № 9—10, 1964 წელი).

11. პროგრამული მასალის ათვისებისა და მეცადინეობის დამთავრების შემდეგ, მსმენელებზე გაიცემა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სათანადო ნიმუშის ცნობა (იხილეთ ზემოაღნიშნული კრებული, № 9—10, 1964 წელი).

12. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროები, სამხრეთ ოსეთის, რაიონებისა და ქალაქების სახალხო განათლების განყოფილებები ყოველი წლის 15 ივლისისათვის საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს უდგერენ მოხსენებით ბარათს მოზრდილ მოსახლეობაში ამ მიმართულებით ჩატარებული მუშაობის შესახებ.

**დანართი:** სასწავლო გეგმა.

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების  
სამმართველოს უფროსი რ. კანდელაკი

16.—49 წლის მოუნდილი მოხახლეობის წერა-კითხვის უცოდინართა და მცირებულებები  
ჯგუფების სასწავლი გეგმები 1966 - 1967 ხასწავლი წლისათვის

მომისახუა  
მისამართის სამსახური

№	ჯგუფები	საგანი	კვირეული საათ. რაოდ.		სამუშაო სამსახურის რაოდ	ჯენ.
			I ნახევარი წილი	II ნახევარი წელი		
1	წერა-კითხვის უცოდინარი	1. მშობლიური ენა 2. არითმეტიკა	6 3	5 4	200 130	330
2	მცირებულებები	1. მშობლიური ენა 2. არითმეტიკა 3. გეოგრაფია	5 4 0	3 3 3	145 125 60	330

შენიშვნა: 1. სწავლების ვადა 9 თვეა. ჯგუფური მეცადინეობა ტარდება კეირაში სამ დღეს,  
სამი საათის ხანგრძლიობით.

2. ინდივიდუალური სწავლებასას შესაძლებელია საპროგრამო მასალის გაყლას დაეთმოს უფ-  
რო მცირე დრო.

ძ

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამშართველოს უფროსი რ. კანდელაკი

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ.  
 15 აგვისტოს ბრძანება № 989

საქართველოს სსრ განათლების ს. მინისტროს 1967 წლის 9 ივნის № 749 ბრძანების „1967 წლის ზაფხულის პერიოდში მუშებისა და მოსამს-ხურეთა ბაგშეცემის დასვენების ორგანიზაციის თაობაზე“ შესრულების მიზანარეობის შემთხვების შედეგების შესახებ

შემოწმებით დადასტურდა, რომ რესპუბლიკის სკოლამდელი დაწესებულებების სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლებისა და სხვ საბავშვო დაწესებულებების აღსაზრდელები მხრედ და ხალისიანად ატარებენ მიმდინარე წლის ზაფხულს, როგორც ადგილობრივ მოედნების, ასევე აგარაკებზე. აღნიშვნულ დაწესებულებებში ყოველგვარი პირობაა შექმნილი მათი გაცავება-გაჯანსაღებისათვის. სკოლამდელი დაწესებულებების აღმირდელთა უმრავლესობა განუხრებული ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 14 ივნისის მეთოდური მისთითებებით— „საზაფხულო-გამაჯანსაღებების მუშაობის ჩატარების შესახებ“, მოხერხებულად იყენებს აგარაკის გარემო პირობებს, ბავშვთა ფიზიკური და გონიერივი განვითარებისათვის. ბავშვების ძილი და დგება ძირითადად გადატანილია პაერზე.

შინაარსიანი მუშაობაა გაშლილი მახარაძის სკოლა-ინტერნატში, კოჯრის № 1, თავის და სურამის საბავშვო სახლებში (დირექტორები უ. ჭეიშვილი, მ. მგალობლივშვილი, ე. ლებანიძე, მ. გოგოლაძე). ქ. თბილისის № 1, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის № 8, № 97, საავიაციო ქარხნის № 48, სოხუმის № 11 საბავშვო ბალებსა და ქ. თბილისის № 3 და № 6 ბავა-ბალებში (გამგეები ქ. ქაგუშაძე, ა. განდელაკი, მ. ზანდუქელი, მ. თბარაშვილი, დ. ტამბია, ნ. ესართია, ვ. მაისურაძე). ამ დაწესებულებებში საქმიანი ქონტაქტით დამყარებული პედაგოგიურ და სამედიცინო პერსონალს შორის, ყურადღების ცენტრშია დღის რეჟიმის ზუსტად და-



ცვა, რაც აუცილებელ ჭირობას წარმოადგენს ბავშვთა გაჯანსფრთხოების დღებისათვის. აღრიცხული ჰყავთ და განსაკუთრებულ სამედიცინო მუშაობას ატარებენ ფიზიკურად სუსტ ბავშვებთან, მანიმუმამდეა შემცირებული იზოლატორში გატარებულ ბავშვთა რიცხვი.

ასევე დამატა მაყოფილებლად. ატარებენ გამაჯანსაღებელ ლონისძიებებს ბორჯომის რაიონის ახალდაბის და ორჯონიქიძის რაიონის ქიცხის სკოლა-ინტერნატები, ქ. თბალისის № 13, № 35, სამკერვალო ფაბრიკის № 7, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს № 85, სამტრედიის რაიონის კულაშის აბრეშუმის ხაქსოვი ფაბრიკის, ქობულეთის № 1, ქუთაისის № 29, გორის ბამბეულის კომბინატის № 2, ზუგდიდის № 1, № 16, ქ. ფოთის № 9 (გამგება—ც. ხარაძე, ვ. მამანიშვილი, ა. რამიშვილი, ნ. თოვლერიძე, თ. არველაძე, ც. ლომაძე, ც. ლაფერაძე, დ. ჯაპანაძე, ო. ქაციბაია, თ. მიქელაძე). აღნიშნულ საბავშვო ბაღებში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის საქმეს.

მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი გამაჯანსაღებელ მეშიობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. ნაწილი სკოლამდელ დაწესებულებათა გამგებისა უერ ახერხებს რა მთავრობის მაერ დაღგრილ ფასებში ბინების დაქირავების, თავს არიდებენ ბავშვების აგარაჟებზე გაყვანას, ზოგჯერ კი ბინების დაქირავების საქმეში უშვებენ უხეშ დარღვევებს. მაგალითად, ქ. თბალისის ტრიკოტაჟის კომბინატის საბავშვო ბაბუას გამგებული ა. უკრაინოსოვას დაქირავებული ბინის ფართობის გარკვეული ნაწილი დაომობალი აქვს სახლის მულობელ ა. შოთაშვილისათვის, რომელიც გაუორმებული ჰყავს საბავშვო ბაღში ტექნიკურ მუშავად. ანალოგიურ ფაქტებს ადგილი აქვს სხვა საბავშო ბაღებშიც. ზოგიერთი საბავშვო ბაღის გამგე სახლის მულობელს ფულს უხდის მაწურ აივნებში, რაც არასწორია. ქ. თბალისის № 11 ბაგა-ბაღის გამგეს მ. გუგუშვილს ბაგის ასაკის ბავშვებისათვის დაქირავებული აქვს ბრელი და უჰაერო ოთახები. ლერტების რაიონის სოფ. უახუნდრის საბავშვო ბაღის გამგე სრულებით არ იცნობს მთავრობის დადგენილებას და აგარაჟ მუშში საბავშვო ბაღისათვის ბინა დაქირავებული აქვს ბრელი და უჰაერო ოთახები. ქ. თბალისის № 89 საბავშვო ბაღისა და № 17 ბაგა-ბაღის გამგებს ლ. გვიჩის და თ. ოსეფაშვილს ბინები დაქირავებული აქვთ ერთმანეთისაგან მოშორებით, რაც ერთგვარად არ-

თულებს მუშაობას, კერძოდ სამხარეულოს მომსახურებას. ქ. თბილისის 26 კომისრის სახელობის ჩარამშენებელი ქარხნის საბავშვო ბაღის გამეგეს პ. ხუნდაძეს საბავშვო ბაღისათვის დაქირავებული ბინები არასწორად აქვს გამოყენებული, პირველ სართულზე პნელ და უპარო თახახებში მოთავსებულია ბავშვების საძინებლები, ხოლო მეორე სართულზე მხიანი და ჰერიანი თახახები გამოყენებულია თანამშრომელთა საცხოვრებლად. თანამშრომელთა თახახებში სტუმრიანობა; მათ დიდი რაოდენობით ჰყავთ წამოყვანილი სისკოლო ასაკის ბავშვები, მაგალითად, გურჯაანის რაიონის კარლანახის ლეიინის ქარხნის საბავშვო ბაღში 31 ბავშვიდან 11 სისკოლო ასაკისაა. რიგ დაწესებულებაში არადამაქმაყუფილებლად მიმდინარეობს პედაგოგიური მუშაობა, იღმინდელთა ნაწილი არ იცნობს მეთოლურ მითითებებს საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის შესახებ, თავის მუშაობას ვერ უხამებს აგარევის პირობებს, თვალსაჩინოებასა და შემოქმედებითი თამაშისათვის ნაკლებად იყენებს ბუნებრივ მასალას, არასწორად გეგმავს ექსკურსიებს გარემოს გაცნობის მიზნით, ბავშვებში ვერ ზრდის მშობლიური ბუნების სილამაზის სიყვარულს. მეტად დაბალია ზოგიერთი აღმსრდელის პედაგოგიური მომხადების დონე. მაგალითად, ბიჭვინთის ბაგა-ბაღის აღმხრდელმა პაპიძემ არ იცის რა განსხვავებაა მშობლიურ ენასა და გარემოს გაცნობის, წატვასა და ძერწევის შორის, ხოლო ცხაკაიას რაიონის სოფ. ძევლი სენაგის მედორეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბაღის აღმირდელები ვერ არჩევენ ლექსის შესწავლას დიდაქტიკური თამაშისაგან. მეტად გართულებულია პედაგოგიური მუშაობა თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის საბავშვო ბაღის რუსულ ჯაშფში, ვინაიდან ბავშვები მინიმალურადაც ვერ ფლობენ რუსულ ენას, ხოლო აღმხრდელი დ. ფახიროვა—ქართულ ენას. არასწორი მეთოდით ატარებს. მეცადინეობას მშობლიურ ენაში ცხინვალის № 5 სიბავშვო ბაღის აღმხრდელი ა. ტერევა. გეგმით გათვალისწინებული მეცადინეობა ძერწევის არ ჩაიტარა ქ. თბილისის 89-ე საბავშვო ბაღის აღმსრდელმა 6. პოლოსოვამ.

აღმხრდელები შ. გულარია, ნ. კეტია (ქ. თბილისის რეინიგზის № 8, აფხაზეთის ასსრ გაგრის № 4 საბავშვო ბაღები) არასერიოზულად ეკიდებან მუშაობის აგეგმვა-აღრიცხვის საქმეს. არასწორულყოფილია კონკრიტული კონკრიტული მეცადინეობა ძერწევის არ ჩაიტარა ქ. თბილისის 89-ე საბავშვო ბაღის აღმსრდელმა.

საზაფხულო-გამაჯანსაღებელი მუშაობის გეგმა არ გააჩნიას ცხადის № 2, ბორჯომის № 2, გურჯაანის რაიონის კარდანახის ღვინის ქარხნის საბავშო ბაღებსა (გამგები—კ. გოგიანვა; ლ. თევზაძე, მ. ბეგიაშვილი) და ზოგიერთ სკოლა-ინტერნატს.

ცხადის რაიონის ძველი სენაკის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშო ბაღი და გუმათის დამზარე სკოლა-ინტერნატი აგარაჟშე გასული არიან სანეპიდსალგურის ნებართვის გარეშე.

გურჯაანის რაიონის კარდანახის ღვინის ქარხნის და ხობის რაიონის ჭალადიდის მელორეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშო ბაღებში არ არის დაცული სანიტარულ-პიგიენური პირობები, დაქუჭყიანებულია იატაკი, გავრცელებულია ბუზები, ნივთები უწერივოდ არის მიყრილ-მოყრილი. სისუფთავე არ არის დაცული ამ საბავშო ბაღების სასურათო საწყობებსა და სამზარეულოში. ანალოგიური მდგომარეობაა რუსთავის № 3 საბავშო ბაღში.

ზოგიერთ საბავშო დაწესებულებაში ნაკლები ყურადღება ექცევა ბავშვთა პირადი ჰიგიენის დაცვის საქმეს. მაგალითად, კოჯრის სკოლა-ინტერნატში სააგარაკოდ ჩამოსულ ბავშვებს არ აქვთ კბილის ფხენილი, ჯაგრისი, საპონი; ქეთილმოუწყობელია პირსაბანები, სამრეცხო, აბანო და სხვა სათავსოები. ქ. თბილისის № 53, საბავშო ბაღსა და კიათურის ბაგა-ბაღში ბავშვებს ფრჩხილები არ აქვთ დაპრილი, სოხუმის № 5 საბავშო ბაღის აღსაზრდელებს დაუბანელი ფეხებით აწევნენ ლოგინში, ცხინვალის № 4 და № 7 საბავშო ბაღებში ბავშვებს ერთმანეთის ნაბან წყალში ბანენ ფეხს. რუსთავის № 1 საბავშო ბაღის აღსაზრდელებს ჭუჭყიანი ტანსაცმელი აცვიათ.

ზოგან მოუწესრიგებელია ბავშვთა საძინებლები. მაგალითად, ახმეტის რაიონის ოსიაურის მეექნახეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშო ბაღში 25 ბავშვზე 12 საწოლია, ლოგინები ჭუჭყიანია. ხობის რაიონის განთიაღის სოფლის მეურნეობის საბავშო ბაღში ბავშვებს არ აქვთ ინდივიდუალური საბნები. ქ. რუსთავის № 3 საბავშო ბაღის აღსაზრდელებს არ აქვთ ღამის პერანგები, იძნებენ ჭუჭყიანი მაისურებით.

ზოგიერთ საბავშო ბაღის თანამშრომელთა საცხოვრებლად გამოყოფილ ოთახებში ანტისანიტარია და უწესრიგობაა.

ზოგიერთ სკოლა-ინტერნატსა და სკოლამდელ დაწესებულებაში უპასუხისმგებლობა იგრძნობა ბავშვთა კვების საქმეში. კოჯ-

რის სკოლა-ინტერნატში სისტემატურად არ ტარდება მხა ქერძების ლაბორატორიული ანალიზი, ქ. თბილისის საავიაციო ქარხნის № 56, ლერტების რაიონის სოფ. ქახევნდრისა და ჩოლოურის, ამნეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცნიერეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალებში მენიუ ერთფეროვანი და არასრულყოფილია. ჭიათურის ბაგა-ბალში ბალის ასაკის ბავშვებს ძლიერებული ბაგის ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილ ულცფას; ცხაკაის რაიონის სოფ. ძველი სენაკის მეცნიერეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალში სწორად ვერ ანაწილებენ დღიურ რაციონს (ჩაი სამკერ ეძლევათ დღეში საუზმეზე, სამზარხსა და ვახშამზე), თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის საბავშვო ბალის და ბიჭვინთის ბაგა-ბალში არ არის მოწესრიგებული საჭმლის მიწოდებას საქმე. დაბალია ვამის კულტურა. ქ. თბილისის ტრიკოტაჟის კომბანატის საბავშო ბალის აღსაზრდებში (გამგე ა. პეტროსოვა); ქოჯრის სკოლა-ინტერნატში შემოქმების დღეს სასაღილოში არ აღმოჩნდა არც ერთი წყლის გრაფინი და სამარილე.

პროდუქტების არასწორი ხარჯვის შემთხვევებს ადგილი აქვს სოხუმის № 3, 4, გაგრის № 3, 4, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცნიერეობის საბჭოთა მეურნეობის და სხვა საბავშვო ბალებში.

ზოგგან სათანადო ყურადღება არ ექცევა მენიუ-მოთხოვნილების სისტემატურად და სწორად შევსებას საქმეს. მაგალითად, სოხუმის № 4 საბავშვო ბალში შემოქმების დღეს სრულებით არ ჰქონდათ მენიუ-მოთხოვნილება, არასწორად აქსებენ ამ დოკუმენტს ზესტაფინის № 4 საბავშვო ბალში. ჩამაჩირის № 9 საბავშვო ბალის გამგეს № 5. რუსულმ ჩაიღინა შეუფერებელი საქციელი, შემოქმების პროცესში აიტაცა მავიღიღან და განათლების სამინისტროს ინსპექტორების წინაშე მოულოდნელად დახია საეჭვოდ შედგენილი მენიუ-მოთხოვნილება. რომლის შესაცვლელად გამხადებული ჰქონდა დაუნომრავი მენიუ-მოთხოვნილების თავისუფალი ფორმები. ზოგი საბავშვო ბალის გამგე სათანადო კონტროლსა და ხელმძღვანელობას ვერ ახორციელებს მენიუ-მოთხოვნილების შედეგასა და პროდუქტების გაცემა-ხარჯვის საქმეზე, ხშირად პირად საქმეზე გადის საბავშვო ბალის ტერიტორიიდან და არ ტოვებს შემცვლელ პირს, რითაც ხელს უწყობს ბოროტმოქმედებას.

კერ კიდევ არ არის მოწესრიგებული კერების პროდუქტებით მომარაგების საკითხი კოჯრის სკოლა-ინტერნატსა და ბორჯომის, ხა-



შურისა და თელავის რაიონებში სააგარაკოდ გასულ საბავშვის მისამართის ბალებში. ხშირ შემთხვევებში ცეკვების აღგილობრივი სავაჭრო დაწესებულებების უფაქტუროდ ატანენ პროდუქტს საბავშვო ბალებს. მაგალითად, ახმეტის რაიონის ქვემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის საბავშვო ბალში 23 კგ ყველი უფაქტუროდ იყო შემოტანილი (მწვ. ა. მურთაზაშვილი).

ზოგიერთ საბავშვო ბალში დაშვებულია შეცდომები შტატის დანიშნულებით გამოყენების საქმეში. მაგალითად, თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის ორჯერული საბავშვო ბალში ერთი დამლაგებელი გამოყენებულია ლამის დარაჯად. ერთი დამლაგებელი კი საჭირო მომსახურებას ვერ უწევს ორ ჯგუფს. ახმეტის № 1 საბავშვო ბალი აგარაქშე გავიდა 2 ჯგუფის კონტრინგენტით (44 ბავშვი) და 3 ჯგუფის შტატით. ანალოგიურ დარღვევებს აღვილი აქვს ახმეტის № 2 ბაგა-ბალშიც.

სუსტია ტრანსპორტით-მომსახურება მანგლისში სააგარაკოდ გასულ საბავშვო ბალებისადმი.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა: გადაჭრით გააუმჯობესონ საზაფხულო-გამაჯანსაღებელ მუშაობაზე ხელმძღვანელობა, მოფიქრებულად შეადგინონ ამ პერიოდის სამუშაო გეგმა, საჭირო დახმარება აღმოაუჩინონ პედაგოგის გამაჯანსაღებელ პერიოდში პედაგოგიური მუშაობის სქორად წარმართვის საქმეში. პერიოდულად ჩაუტარონ კონსულტაციები, კონტროლი დააწესონ სამედიცინო და სხვა მომსახურება პერსონალის ყოველდღიურ მუშაობაზე. თვალყური აღევნონ კვების პროდუქტების ზუსტად ხარჯებას, არ დაუშვან პროდუქტების გაცემა მენიუ-მოთხოვნილების სათანადოდ გაფორმების გარეშე, აკრძალონ პირად საქმეზე საბავშვო ბალიდან გასვლის შემთხვევები, სისტემატური კონტროლი და აწესონ ბავშვთა კვებაზე მისი კალორიანობისა და ქიმიური შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით.

2. განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) აქტიური დახმარება აღმოუჩინონ საბავშვო დაწესებულებებს გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზებულად ჩატარების საქმეში;

ბ) არ დაუშვან საბავშვო ბალების გაყვანა აგარაქებზე ბავშვთა სიებისა და შტატის დამტკიცების, სანეპიდსადგურის ნებართ-



ვისა და სხვა საქირო დოკუმენტაციის მოწესრიგების გარეშემოვალი  
გ) ეს ბრძანება გან-ზილონ გაფართოებულ თათბირზე უკირა-  
ლამდელ მუშაკებთან ერთად და დასახონ კონკრეტული ღონისძიე-  
ბები, გამაჯანსალებელ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმო-  
საფხვრელად; შესაფერისი სასჯელი დაადონ ამ ბრძანებაში აღნიშ-  
ნულ დამაშავე პირებს.

3. ოჩამჩირის რაიონის განათლების განყოფილების გამგემ  
სპეციალურად განიხილოს ოჩამჩირის № 9 საბავშვო ბალის გამგის  
ნ. რურუს მოქმედება და დაადონ მას მკაცრი სასჯელი პედაგოგი-  
სათვის შეუფერებელი საქციელისათვის.

4. ეთნოოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სათანადო  
დადვერილების გადასინჯვა აგარაკებზე ბინების დასაქირავებელი  
თანხების გაზრდის მიზნით.

5. ეთნოოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს  
გააუმჯობესოს სააგარაკოდ გასულ საბავშვო დაწესებულებათა კვე-  
ბას პროდუქტების მომარაგების საქმე, აკრძალოს მათზე სავაჭრო  
ორგანიზაციების მიერ საქონლის უფაქტუროდ გაცემის შემთხვე-  
ვები.

6. ეცნობოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორ-  
ტის სამინისტროს მანგლისში სააგარაკოდ გასულ საბავშვო და-  
წესებულებებისადმი ტრანსპორტით სუსტად მომსხურების შე-  
სახებ.

7. სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართ-  
ელომ და სკოლამდელი აღზრდის განყოფულებამ (ვ. ჩინჩალაძე,  
გ. აბდუშელიშვილი) თვალყური ადევნონ ამ ბრძანების შესრუ-  
ლებას.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს  
1967 წლის 11 აგვისტოს დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების  
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1967 წ.  
 21 აგვისტოს ბრძანება № 1007

ნორჩ მხაზველთა მენუთე რესპუბლიკური კონკურსის  
 შედეგებისა და მეექვსე რესპუბლიკური კონკურსის ჩატარების  
 ღონისძიებაზე შესახებ

ნორჩ მხაზველთა მენუთე რესპუბლიკური კონკურსი მოძლე-  
 ნილი იყო დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50  
 წლისთავისადმი.

კონკურსმა დადალ შეუწყო ხელი სკოლებში ხაზვის სწავლე-  
 ბის ამაღლებასა და მოსწავლეთა შორის ხაზვის შესწავლისადმი  
 ინტერესის გაძლიერებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ. ქ. ქუთაისის, ბათუმის,  
 თელავის, მახარაძის რაიონების სკოლების მუშაობა, კონკურსისა-  
 ფვის მხადებას პერიოდში ხაზვის წრეები ჩამოყალიბდა ქუთაისის  
 პიონერთა სასახლესა, ქუთაისის მე-2, მე-3, მე-4, მე-7, მე-9, მე-  
 10, მე-17 სკოლებსა, აგრეთვე ჭიათურის, ხაშურის, ღუშეთის და  
 თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლებში.

კონკურსზე საუკეთესო ნახაზები წარმოადგინეს ქალაქების—  
 თბილისის, სოჭუმის, ბათუმის, ქუთაისის, თელავის, მახარაძის,  
 ცხიათის, ცხინვალის, ახალციხის, მცხეთის, გორის რაიონების  
 სკოლებმა. წლევანდელ კონკურსზე წარმოდგენილი საგამოცვე-  
 ნაშრომები სტანდარტების დაცვის საფუძველზე ხასიათდება მა-  
 ღალაზარისხოვნად შესრულებული ნახაზებით და მოდელების ნაირ-  
 სახეობით.

ნორჩ მხაზველთა მე-5 რესპუბლიკურ კონკურსში მონაწი-  
 ლეობა მიიღო რესპუბლიკის 66 რაიონის და ქალაქის 671 სკოლის  
 8024 მოსწავლემ. მათ რესპუბლიკურ კონკურსზე წარმოადგინეს  
 22942 ნახაზი და 2944 მოდელი.

აღსანიშნავია ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსის

საქართველოს  
კულტურული  
მემკვიდრეობის  
მინისტრის  
მიერ განვითარების  
სამინისტრო

ორგანიზებულად და მაღალ დონეზე ჩატარებისათვის თბილისის გორის ძეგლაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში მოხდება. ნორჩ მხატველთა კაბინეტის და საქართველოს კ. ი. ლეინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინერო გრაფიკის კათედრის მუშაობა.

კონკურსში ჯერ კიდევ სუსტად მონაწილეობენ ქ. ფოთის, ვანის, თაბაეთის, თეთრიწყაროს, წითელწყაროს, სიღნაღის რაიონების სკოლები.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. კონკურსში საუკეთესოდ შესრულებული ნახატების, მოღელების წარმოდგენისა და კონკურსის ამოცანების მაღალხარისხოვნად ამონსნისათვის დაჯილდოვდნენ მოსწავლეები:

#### ა) პირველი ხარისხის დიპლომით

1. გვერცაძე შოთა შალვას ძე—თბილისის მე-4 საშუალო სკოლა

2. გვერცაძე გიორგი ვალერიანის ძე—თბილისის მე-6 საშუალო სკოლა

3. ლობჟავანიძე გია ბაგრატის ძე—თბილისის მე-6 საშუალო სკოლა

4. შაბერუაშვილი გურამი გიორგის ძე—თბილისის მე-6 საშუალო სკოლა

5. ნადირაძე შალვა არსენის ძე—თბილისის მე-8 საშუალო სკოლა

6. კობიაშვილი ნათელა ვასილის ასული—თბილისის მე-8 საშუალო სკოლა

7. თეთრაძე თემური ალექსის ძე—თბილისის მე-3 საშუალო სკოლა

8. ჯიშკარიანი იური ივანეს ძე—თბილისის მე-16 საშუალო სკოლა

9. გიორგაძე ნოდარი ქუჩუკის ძე—თბილისის 31-ე საშუალო სკოლა

10. მუმლაძე პავლე ნიკოლოზის ძე—თბილისის 62-ე საშუალო სკოლა

11. შატეავა ავთანდილ ლულუნის ძე—სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლა

12. დოროვეევა ვერა ვლადიმერის ასული—თბილისის 133გმზირის  
საშუალო სკოლა
13. კრიხელი მიხეილი გაბრიელის ქ—სოხუმის მე-8 საშუა-  
ლო სკოლა
14. რიაბოვა ვერა მიხეილის ასული—სოხუმის მე-17 საშუა-  
ლო სკოლა
15. გორდელაძე არჩილ ამბროსის ქ—ბათუმის 1-ლი საშუა-  
ლო სკოლა
16. ხუხუნაიშვილი ავთანდილ მიხელის ქ—ბათუმის 1-ლი  
საშუალო სკოლა
17. პარფექტელი ირაკლი გასილ-ს ქ—ბათუმის მე-10 საშუ-  
ალო სკოლა
18. ბრეგვაძე ალექსანდრე ვალიმის ქ—ბათუმის მე-10 საშუ-  
ალო სკოლა
19. გორდაძე ელგუჯა გივის ქ—ქუთაისის მე-3 საშუალო  
სკოლა
20. ხურციძე ოთარი მიხეილის ქ—ქუთაისის მე-3 საშუალო  
სკოლა
21. ალავიძე გენადი ანტონის ქ—ქუთაისის მე-9 საშუალო  
სკოლა
22. ჯანიაშვილი ბესიქი იოსების ქ—თელავის 1-ლი საშუა-  
ლო სკოლა
23. ფეიქრიშვილი გელა ივანეს შე—თელავის 1-ლი საშუალო  
სკოლა
24. ბარდანაშვილი თენგიზ ვალერიანის ქ—თელავის 1-ლი  
საშუალო სკოლა
25. ნარულიშვილი ჯულიეტა გიორგის ასული—თელავის  
მე-5 საშუალო სკოლა
